პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წლიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის, სრ. საქ. მ. გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. [illegible] ორგანო.

Коллекция [illegible]

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5-43
[illegible] ლაპარაკება [illegible] გარდა კვირა-უქმე [illegible] 2-დან 3 საათამდე
[illegible] ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩვეულებრივი ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

გერმანიამ მოკავშირეებს გა[illegible] შეხება საკონტრიბუციო საკითხის [illegible]

მოკავშირეთა პრესას მიუღებლად მიაჩნია გერმანიის ნოტა და მოითხოვს ის არ იქნას განხილული მანამ, სანამ გერმანია ხელს არ აიღებს პასიურ წინააღმდეგობაზე.

შვეიცარიის ფინანსისტურმა წრეებმა სთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა მათ მისცეს კონცესიები.

გერმანიაში, ქალაქ ფოინტში სოციალ დემოკრატების კრებას თავს დაესხნენ ფაშისტები.

№ 130 შაბათი 9 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000 მან. 117 № 130

ორშაბათს, 11 ივნისს; საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია თბილისის **საბჭოს გაფართოებული სხდომა**, ქარხნების, ფაბრიკების და ადგილკომების წევრების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელია ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

დასწრება საბჭოს ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

აღმასკომის პრეზიდიუმი.

კვირას, 10 ივნისს, დილის 11 საათზე ალექსანდრეს ბაღში დანიშნულია სახალხო მწერლის მარქსისტ

ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილი)

ძეგლის გახსნა.

ძეგლს გახსნის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. სიტყვებს წარმოსთქვამენ: ამხ. მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, რაჟდენ კალაძე, მიხა ჩოდრიშვილი, კახიანი, იოსებ კაკაბაძე, თედორე კალანდაძე და სხვ.

ყველა დელეგაციები ბაირაღებითა და ორკესტრით, უნდა შეიკრიბნენ მუშათა სასახლესთან სწორეთ დილის 11 საათზე.

ძეგლის გახსნაზე, მუშათა და წითელარმიელთა დელეგატების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ყველა წევრები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

განცხადება

ა. წ. 9 ივნისისათვის დანიშნული თბილისის საბჭოს სხდომა გადადებულია 16 ივნისისათვის.

1—1 **პრეზიდიუმი.**

მათი ზრახვები

არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის ზრახვები, რომლებიც ასულდგმულებენ ბურჟუაზიული ქვეყნების დღევანდელ მესვეურებს საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. დარწმუნებული იმაში, რომ მათ გვერდით, მათ თვალწინ, რამოდენიმეთ მათი ეკონომიური რესურსების გამოყენებით, იზრდება გოლიათი, რომელიც ერთ დროს ამ ქვეყნების პროლეტარიატთან ერთად თანამშრომლობით დასცემს მათ ბატონობას—ისინი ყოველ საშუალებას ხმარობენ, შეაფერხონ საბჭოთა სახელმწიფოების განვითარება, განაახლონ და გააძლიერონ ეკონომიური ბლოკადა ან, მათთვის უკეთეს შემთხვევაში, მოახდინონ სამხედრო ინტერვენცია ჩვენი დაპყრობისა და დამორჩილების მიზნით. თუმცა ეს დღემდის მათ ვერ მოუხერხებიათ, ამას ვერც დღეს ახერხებენ მათივე ქვეყნების შინაური მდგომარეობისა და ურთიერთშორის ინტერესთა სხვა და სხვაობისა და ქიშპობის გამო, მაგრამ ზრახვები კი ასეთია მათი. საინტერესო ამ გეგმაში არის ის, რომ თავიანთ მისწრაფების განსახორციელებლად ისინი ამყარებენ იმედს ვითომდა რაღაც განხეთქილებაზე, რომელიც მათი აზრით არსებობს თვით კომუნისტების წრეებში. ამ მხრივაცაა სხვათა შორის საინტერესო ის საიდუმლო დეპეშები, რომლებიც გაუგზავნია მოსკოვიდან აპრილში იტალიის მთავრობის წარმომადგენელს თავისი მთავრობისთვის. ამ დეპეშების შესახებ გაკვრით ლაპარაკი იყო უკვე რადიოებში. მათი სრული ტექსტი გამოაქვეყნა ერთმა ინგლისურმა გაზეთმა და დაბეჭდილია მოსკოვის გაზეთებშიც. ეს დეპეშები გაგზავნილია იმ დროს, როდესაც კერზონი ამზადებდა დიპლომატიურ თავდასხმას საბჭოთა ქვეყნებზე, ხოლო მსოფლიო ომის დროიდან ცნობილი ყასაპი, მარშალი ფოში, პოლონეთის ლეგიონერებს ათვალიერებდა.

დეპეშების ავტორისა და მის მესაიდუმლეთა გეგმით ევროპის სახელმწიფოებს უნდა გაეწვიათ უკან თავიანთი წარმომადგენლები მოსკოვიდან. „რუსეთი მოწყვეტილი იქნება—ოცნებობდენ ეს ვაჟბატონები—ყველა იმ წყაროებიდან, საიდანაც ის იღებს საშუალებას თავისი საჭიროებისათვის". მაგრამ თუ ვინიცობაა გერმანია არ წავა ამ გზით და კიდევ უფრო დაუკავშირდება ეკონომიურად საბჭოთა ქვეყნებს, ისარგებლებს რა სხვა სახელმწიფოებისაგან განთავისუფლებული ასპარეზით, ამ შემთხვევაში იტალიის წარმომადგენელი არწმუნებს თავის მთავრობას, რომ „**ჩვენ გვექნება საკმაო დრო რუსეთთან კვლავ ურთიერთობის აღდგენისა**".

სამხედრო ინტერვენციაზე თვით დეპეშებში ლაპარაკი არ არის. როგორც მოვიხსენიეთ, იმედია დამყარებული ვიღაც „მემარცხენე" კომუნისტებზე და საზოგადოების ოპოზიციონურ წრეებზე. ეს უკანასკნელები ისარგებლებენ დეპეშების ავტორის აზრით—რუსეთის შინაური გართულებით, რომელიც მოჰყვება ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლების გაწვევას მოსკოვიდან, მოახდენენ აჯანყებას, ძირს დასცემენ ბოლშევიკების „ტერორისტულ რეჟიმს" და ამნაირად იხსნიან „ევროპის ცივილიზაციას" ამ „ბარბაროსებისაგან". ასეთი იყო მათი ოცნება. მაგრამ სხვანაირი გამოდგა სინამდვილე საბჭოთა ქვეყნების შინაური მდგომარეობის.

რომ კომუნისტებს შორის გათიშვის „ამბავი" თითიდან ამოწოვილი იყო და არის ამას ბევრი მტკიცება არ ესაჭიროება. თუ ასეთ „უტყუარ" ცნობებს აწვდიან ევროპის კაბინეტებს მოსკოვიდან სხვა მათი ჯაშუშებიც, ამით ისინი შორს ვერ წავლიან და ტყუილ ხარჯს იწევიან მათთვის. ხოლო რაც შეეხება ხალხის სულიერ განწყობილებას, ბურჟუაზიული სახელმწიფოების აგენტებს საკმაო საშვალება მიეცათ წარსულ კვირეებში დარწმუნებულიყვნენ მათი იმედების სრულ უნიადაგობაში. საბჭოთა ფედერაციას ცოტა ახსოვს ისეთი აღელვება და აღშფოთება, რომელიც მოედო ყველა ხალხებს და მშრომელ მასებს კავშირისას. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მოვიტყუოთ თავი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ქვეყნებში არიან აქა-იქ აქტიური ჯგუფები, რომლებიც უცდიან შემთხვევას რაიმე საგარეო გართულებისას დროს შესარჩევათა და ასამოქმედებლად. ასეთები არიან წარსული რეჟიმის ნაშთები, ახალი ბურჟუაზიის ჯგუფები, რომელთა მადას გასაქანს არ აძლევს საბჭოთა რეჟიმი, არიან აგრეთვე მათი დამხმარე მენშევიკების და ესერების ჯგუფები. დღეს ისინი სოროებში არიან შემძვრალი და უცდიან ხელსაყრელ „ამინდს". მაგრამ ამაოა მათი ოცნება. თუ ისინი დღეს თავისუფლად ტკეპნიან საბჭოთა ბინას, ეს საშუალებაც მოესპობათ მათ იმ დროს, რომლის მოსვლას ისინი შეჰხარიან. გარეშე საფრთხის—თუ ეს დრო მართლა მოვა—დასაძლევათ ამდგარი ხალხის რისხვა პირველათ მათ თავზე გაგორდება. რევოლიუციონური ხალხი თავისი არმიით შექმნის მტკიცე შინაურ ბაზას, გაანთავისუფლებს პირწმინდათ შინაურ ფრონტს, რომ მთელი ძალღონით დასცეს ურო თავზე დამსხმელებს. ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში არაფერი სანატრელი არ უნდა იყოს კონტრ-რევოლიუციონერებისა და იმპერიალისტების აგენტებისათვის.

საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა

ძალთა განწყობილება დღეს.

ომის დაწყებამდე მთელს მსოფლიოში სინდიკატებში გაერთიანებულ მუშათა რიცხვი დაახლოვებით უდრიდა 10,000,000 კაცს. მობილიზაციამ და პროლეტარიატის პოლიტიკურმა და სინდიკალურმა უმოქმედებამ ძლიერ შეამცირა მისი ძალები ომის პირველი წლის განმავლობაში. თითქმის ყველა მებრძოლ სახელმწიფოებში, ინგლისის გარდა, სინდიკატებმა დაჰკარგეს თავიანთ ძალების ნახევარზე მეტი ნაწილი. ძალების ასეთი დაცემა გრძელდება 1915 წლამდე. 1916 წლიდან იწყება საწინააღმდეგო მოვლენა. 1919—20 წ. სინდიკალური მოძრაობა სწრაფათ ვითარდება.

1920 წლის ბოლოს საერთაშორისო სინდიკალური მოძრაობა მოედო დაახლოებით 50,000,000 კაცს. მაგრამ 1921 წლის დასაწყისიდან, კაპიტალის თავდასხმას შეაქვს გათიშვა მუშათა ამ ვეებერთელა არმიაში.

დღეს ის უკვე აღარ წარმოადგენს ერთ ბლოკს. ის იყოფა პოლიტიკურათ, ნაციონალურად და სარწმუნოებრივად. რეფორმისტული სინდიკატები შეადგენენ ყველაზე უფრო კომპაქტურ მასას; შემდეგ მიჰყვებიან მათ რევოლიუციონური სინდიკატები, შემდეგ დამოუკიდებული სინდიკატები. კათოლიკური დემოკრატიულ-ლიბერალური, პროტესტანტული, ქრისტიანული, ნაციონალური (ჩეხის, გერმანიის), ფაშისტური და, დასასრულ შტრეიკბრეხერების. საერთაშორისო სინდიკალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ მხოლოდ რეფორმისტული და რევოლიუციონური კავშირები. კათოლიკებსაც განზრახული აქვთ საკუთარი ინტერნაციონალის დაარსება, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით პროექტად რჩება.

საერთაშორისო ორგანიზაციები.

არსებობენ:

1. საერთაშორისო სინდიკალური ფედერაცია ამსტერდამის;
2. 29 საერთაშორისო ინდუსტრიალური ფედერაცია;
3. წითელი პროფინტერნი (მოსკოვი);
4. 13 საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტი სამრეწველო ფედერაციებში (მოსკოვი).

ამსტერდამი.

ამსტერდამი თავის გარშემო იკრებს 24 სინდიკალურ გაერთიანებას რომელთაგან 4 ევროპის გარეშეა! (არგენტინა, პერუ, კანადა და სამხრეთ-აფრიკა), რევოლიუციონური უმცირესობანი მუშაობენ მათ შორის მათივე ლიდერების წინააღმდეგ.

ამსტერდამის საერთაშორისო სინდიკალურ ფედერაციაში ირიცხება დაახლოვებით 21,000,000 წევრი, რომელთაგან 15,000,000—გერმანიაში და ინგლისში. 22 დანარჩენ სახელმწიფოებს ერთად ჰყავთ მხოლოდ 6,000,000 შეკავშირებული მუშა. ამსტერდამის სტატისტიკა არ უწევს ანგარიშს სხვა და სხვა მიმდინარეობათა რაოდენობას და ყველას ანგარიშობს ერთად, ამნაირად რამდენიმეჯ ადიდებს ციფრებს.

მაგალითად იტალიას 1923 წ. ეკუთვნებენ ამსტერდამის სტატისტიკის მიხედვით 1,200,000 წევრს ხოლო ნამდვილად კი რეფორმისტულ სინდიკატებში შედის სულ 200,000 წევრი, რომლიდანაც ნახევარი ებრძვის ამსტერდამს და საკუთარ ლიდერებს. საფრანგეთის რეფორმისტულ სინდიკატს (შრომის საყოველთაო კონფედერაცია). ეკუთვნებენ 756.000 წევრს, ნამდვილად კი მას მოეპოვება არა უმეტესი 250.000 წევრისა. ბოლგარეთის რეფორმისტები ამსტერდამის სტატისტიკის ანგარიშით შეადგენენ 14.000 ხოლო ნამდვილად კი არის 1000 კაცი. ბერძნები შეადგენენ 170,000, ნამდვილად კი 50,000 კაცს.

დასასრულ დიდი-ბრიტანეთი წარმოდგენილია მოზრდილი ციფრით—6,500,000, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ტრედიუნიონების კონგრესი ანგარიშობს არა უმეტეს 5,000,000-სა, რომელთაგან ყოველ შემთხვევაში, 15 პროც. ემხრობა წითელ პროფინტერნს. და დასასრულ, გერმანიის რეფორმისტულ სინდიკატებში (8,400 ათასი) მოიპოვება საკმაო რევოლიუციონური უმცირესობა, რომელიც თავის გავლენას ავრცელებს დაახლოვებით 3,000,000 წევრზე. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ამსტერდამის ძალების ჭეშმარიტ სურათს, გარდა რევოლიუციონერებისა, რომლებიც ემხრობიან წითელ პროფესიონალურ ინტერნაციონალს—მივიღებთ საერთო ციფრს არა უმეტეს 15,000,000-სა.

საერთაშორისო სამრეწველო ფედერაციები აერთებენ იმავე სინდიკალისტებს და შეიცავენ 20,000,000 წევრს, საინფორმაციო—სტატისტიკურ ბიუროების ანგარიშების მიხედვით. მათი სტატისტიკური ცნობები დაახლოვებითია. საამშენებლო მრეწველობის მუშებს აქვს 3 ლე პროფესიონალური ინტერნაციონალი. კავშირის „წიგნს" აქვს 3 ინტერნაციონალი (მბეჭდავების, მკინძავების და ლიტოგრაფების) არის აგრეთვე ინტერნაციონალები. დალაქების (12,000), მექუდეების, მეჭურჭლეების, რომლებიც ჩამოყალიბებული არიან ცალკე პროფესიონალურ საერთაშორისო კორპორაციებად.

ყველაზე უფრო ძლიერ საერთაშორისო ფედერაციებს შეადგენენ: ლითონის მრეწველობის მუშები (3,400,000), მემადნეები (2,600,000) ტრანსპორტელები (2,300,000), ფეიქრები (1,600,000), ხეზე მომუშავეები (830,000) და საამშენებლო მრეწველობის მუშები (800,000). ყველა ეს ფედერაციები ვერ აერთებენ ყველა სამრეწველო სინდიკატებს; მათ შორის გავლენა აქვს წითელ უმცირესობას.

ამსტერდამის საერთაშორისო სინდიკალური ფედერაცია და მისგან დამოკიდებული ფედერაციები წარმოადგენენ დიდ კონსერვატიულ ძალებს, რომელიც ხელს უშლის კლასთა ბრძოლას.

მე-II-ე ინტერნაციონალის გაკოტრებამ და საერთაშორისო სინდიკალური ფედერაციის უმოქმედობამ რურის ოკუპაციის მიმართ წარმოშვა მემარცხენე ფრთა, რომლის მნიშვნელობის შეფასება ჯერ კიდევ ძნელია: მაგრამ ამსტერდამი ყოველ შემთხვევაში დასუსტებულია და წააგავს „საფოსტო ყუთს"-ს; სადაც ყოველისფერია ჩალიხული.

წითელი პროფინტერნი (მოსკოვი).

წითელი პროფინტერნი არის პირველ ყოვლისა ორგანიზაცია ინტერნაციონალური. 22 მთლიანი გაერთიანება და უმცირესობათა ორგანიზაცია შედის იქ ევროპის ქვეყნების გარეშე (ავსტრალია, შეერთ. შტატები, კანადა, ურუგვაი, ბრაზილია, არგენტინა, ინდონეზია, ჩინეთი, ინდონეზი იაპონია, გარეთა სპარსეთი, ოსმალეთი, ეგვიპტე, მექსიკა და სხვ.) არ არის მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, რომლის პროლეტარიატი არ იყოს დაკავშირებული ჩვენ წითელ პროფინტერნთან ორგანიზაციულად და პოლიტიკურად.

წითელი პროფინტერნი შესდგება მთლიან ნაციონალურ სინდიკალურ გაერთიანებებისაგან (რუსეთი, საფრანგეთი, ჩეხო-სლოვაკია, ბოლგარეთი, ესტონეთი, სპარსეთი და სხვ.) და აგრეთვე ძლიერ რევოლიუციონურ უმცირესობათაგან (ინგლისი, გერმანია, შეერთებული შტატები, ბელგია, ავსტრია, შვეიცარია, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, სკანდინავია) და ბოლოს მრავალ სახელმწიფოებში არის წითელ პროფინტერნთან შეერთების ტენდენცია, მაგრამ სინდიკალურ მოძრაობას აფერხებს თეთრი ტერორი (რუმინეთი, იტალია, სამხრეთ-სლავია, უნგრეთი, ფინეთი, ლატვია, პოლონეთი, საბერძნეთი). მოვიგონოთ ჩრდ. შტატებში ეხლახან გამართული პროცესი ფოსტერის; ამ ამხანაგს უმთავრესად ბრალს სდებდენ პროფინტერნის სასარგებლო პროპაგანდაში. მაგრამ თუ ჩვენ ზოგიერთ სახელმწიფოთათვის (რუსეთი, საფრანგეთი და სხვა) ავიღებთ **ზუსტ სტატისტიკურ ცნობებს** ზოგიერთების შესახებ (გერმანია, ინგლისი შეერთებული შტატები და სხვ.) **პოლიტიკური გავლენის დონეს** და ზოგიერთების შესახებაც (იუგო-სლავია, ფინ[illegible]) **მოძრაობის** [illegible] **ტენდენციის**,—იმ დასკვნამდე მივალთ, რომ წითელი პროფინტერნის ნამდვილი ძალები აღწევს 12, და 13,000,000 შეკავშირებულ მუშამდე. და ჩვენი ორგანიზაცია ერთიანია, შეკავშირებული და მებრძოლი. მხოლოდ ერთი მიზეზი აფერხებდა მის გამოსვლებს: მისი ძალების უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ ამსტერდამის ფართო მასებში შედის და მუშაობს თავისი პოზიციის გასამტკიცებლად.

13 საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტი, რომლებიც შეეფარდებიან სამრეწველო ფედერაციებს, ემხრობა პროფინტერნს. ტრანსპორტელების, საამშენებლო მუშების და ხეზე მომუშავეების კავშირებში ჩვენ მოგვეპოვება ეხლა საერთაშორისო ძალების თითქმის ნახევარი. მელითონეები მემადნეები და მეტყავეები ჩვენი ანგარიშით შეადგენენ საერთაშორისო ფედერაციის 30-40 პროცენტს.

ფიქტიური ინტერნაციონალი.

რომ არაფერი გამოგვრჩეს, აღვნიშნოთ აქ კიდევ **მშრომელთა საერთაშორისო კავშირი** (!), რომელიც ამას წინათ დააარსეს გერმანიის, იტალიის და ესპანეთის რამოდენიმე თავისუფლად მოაზროვნე სინდიკალისტურმა ჯგუფებმა; მასში არ არის არაფერი სერიოზული, გარდა მისი სახელწოდებისა.

მას ახასიათებს მოლაყბეობა და ნებისყოფის უქონლობა. მისი მიზანია საერთაშორისო სინდიკალური მოძრაობის დაცვა წითელი პროფესიონალური ინტერნაციონალის, კომუნიზმის და რუსეთის რევოლიუციის გავლენისაგან. ამ ინტერნაციონალს არავითარი გავლენა არ აქვს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე.

საერთო მიმოხილვა

ასეთია მდგომარეობა. პროლეტარიატის ვეებერთელა ორგანიზაცია ნაწილობრივ ბურჟუაზიის ხელშია, ნაწილობრივ მისი გავლენის ქვეშ, ხოლო არის აგრეთვე ნაწილი, რომელიც ამხედრებულია მის წინააღმდეგ. წითელი პროფინტერნის მიერ გაწეული მუშაობა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მოწმობს, რომ ამ კონსერვატიული ძალების რევოლიუციონურად გარდაქმნა არ წარმოადგენს უტოპიას. იმ ვეებერთელა პოტენციალური ძალის დაპყრობა, რომელსაც წარმოადგენენ რეფორმისტული სინდიკატები, რომელთაც ემხრობიან ათეულ მილიონიანი მუშები—ნიშნავს სოციალური რევოლიუციის მომზადებას. და ამ დაპყრობას ჩვენ სისტემატიურად ვახერხებთ.

ამსტერდამი და რეფორმიზმი ეცემა. პროფინტერნი კი გამსჭვალული კომუნიზმით—იზრდება. ეს ჩვენ გვაძლევს იმედს მომავლისათვის.

ა. ლოზოვსკი.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

გერმანიის მრეწველები სპეკულიაციას ეწევიან რურის კონფლიქტით.

პარიზი. 8 ივნისი. „ეკო დე პარი" რეიხსტაგის კომისიის სხდომის დაწვრილებითი ცნობებს იტყობინება გერმანიის მარკის დაცემის მიზეზების შესახებ და, სხვათა შორის, ამბობს: სოციალისტურ საფრანგეთის წარმომადგენელი, ყოფილი მინისტრი შმიდტი და დეპუტატი გეინი, კრიტიკას უკეთებდენ რეიხსტაგი მოქმედებას რომელიც ხელს უწყობდა მრეწველებს აურიცხელ მოგების მიღებაში. საქმე იმაშია, რომ რეიხსბანკმა თავის დროზე მრეწველებს დიდი კრედიტი გაუხსნა პასიური წინააღმდეგობის გაძლიერებისა და გაფართოებისათვის რურში, ეხლა კი ირკვევა, რომ მრეწველებმა ეს კრედიტი სპეკულიაციის მიზნისათვის გამოიყენეს მხოლოდ: მათ შეისყიდეს დოლარები, როდესაც დოლარი 20.000 მარკა ღირდა და ამ ჟამად, როდესაც დოლარი 80.000 მარკა ღირს, უამრავ მოგებას ღებულობენ.

გერმანიის ახალი ნოტა

მთავრობის განცხადება.

ბერლინი. 8 ივნისი. გერმანიის ნოტა, საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, რომელიც გუშინ გადაეცა მოკავშირეებს, იწყება განცხადებით, რომ გერმანიის მთავრობას სურს აიცილოს ყოველგვარი დაბრკოლება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მოლაპარაკებას. **ნოტა გამოსთქვამს თანხმობას მიიღოს რომელიმე მიუდგომელი საერთაშორისო ორგანოს გადაწყვეტილება კონტრიბუციების საერთო ჯამის და მისი გადახდის წესის შესახებ. გერმანიის მთავრობა ამ მიზნით მზად არის გადასცეს ამ ორგანოს შესამოწმებლად თავისი ყოველგვარი ფინანსიური და სხვა ანგარიშები, ცნობები გერმანიის ვაჭრობა მრეწველობის რესურსების შესახებ და სხვა.** ვინაიდან საერთაშორისო სესხის მიღება მოუხერხებელია, გერმანია მოითხოვს გადახდის ვადის გადადებას. პირველი გადახდა მოხდება 1927 წლის ივლისში. გარანტიის სახით გერმანიის მთავრობა გადასცემს მოკავშირეებს რკინისგზების და მათი საწარმოო დარგების აქციებს. აქციები დაუყოვნებლივ იქნება გამოშვებული და მათი საერთო ჯამი უდრის 10,000 მილიონ ოქროს მარკას. ამას გარდა გარანტიათა რიცხვი შევა შემოსავალი სახელმწიფო მეურნეობისაგან, მრეწველებისაგან, ბანკირებისაგან, ვაჭრებისაგან, გზათა მიმოსვლისაგან და მიწად-მოქმედებისაგან. გარანტიების რიცხვს მიემატა აგრეთვე შემოსავალი თამბაქოზე, მაგარ სასმელებზე და შაქარზე გადასახადებისაგან და აგრეთვე სახელმწიფო მონოპოლიისაგან. დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ ასეთი სერიოზული საკითხის განხილვის დროს, როგორიც არის საკონტრიბუციო საკითხი, მარტო წერილობითი აზრთა გაცვლა-გამოცვლა საკმაო არ არის და საჭიროა სიტყვიერათ მოლაპარაკება. ამიტომ გერმანიის მთავრობა იმეორებს თხოვნას სათანადო კონვენციის მოწვევის შესახებ.

გერმანიის ნოტის გარშემო

საფრანგეთის გაზეთების აზრი.

პარიზი. 8 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები აღასტურებენ, რომ ბრიუსელის კონფერენციაზე ორი პირობა, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი და ბელგია მზად არიან განიხილონ გერმანიის წინადადება: 1) გერმანია უნდა დათანხმდეს რურის ევაკუაციის მოხდენას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი კონტრიბუციას გადაიხდის და 2) რაიმე მოლაპარაკების დაწყებამდე, გერმანიამ ხელი უნდა აიღოს ყოველგვარ პასიურ წინააღმდეგობაზე. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, ოფიციალურ განცხადებას, გერმანიის მიმართ იძულებითი ზომების გაძლიერების შესახებ და ამ განცხადებიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საფრანგეთსა და ბელგიას გადაწყვეტილი აქვთ მომავალშიაც გერმანიას იძულებით შეასრულებინონ თავისი ვალდებულებანი.

გერმანიის ნოტა მიუღებელია.

პარიზი. 8 ივნისი. საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობა აცხადებს, რომ გერმანიის ნოტას ახალი წინადადებებით არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოკავშირეები. „პტი პარიზიენის" აზრით ძველ ნოტებთან შედარებით, ეხლახან მიღებული ნოტა უკან ნაბიჯის გადადგმას მოასწავებს. გაზეთი განაგრძობს მოთხოვნას, რომ გერმანიამ მოსპოს პასიური წინააღმდეგობა.

ბელგიის პრესა ნოტის შესახებ.

პარიზი. 8 ივნისი. ბელგიის გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სანამ გერმანია არ მოსპობს პასიურ წინააღმდეგობას, მისი ნოტა არ უნდა იქნეს განხილული. მორატორიუმის მინიჭება 4 წლის ვადით გაზეთების აზრით მიუღებელია, წინადადება კი ექსპერტების საერთაშორისო კომისიის არბიტრაჟის შესახებ. გაზეთებს საეჭვოდ მიაჩნიათ.

საფრანგეთის პრესის აზრი.

პარიზი. 8 ივნისი. საფრანგეთის პრესა იხილავს გერმანიის წინადადებას და აღნიშნავს, რომ პირველი შეხედვით გერმანიის მემორანდუმით, გერმანიის მთავრობა წინადადებას იძლევა: პირველი—მიეცეს მას მორატორიუმი 4 წლის ვადით, მეორეც—გადასახადი თანხა ნაწილ-ნაწილად ახდევინონ, მხოლოდ არ არის ნაჩვენები გადასახადი თანხის რაოდენობა. გაზეთების აზრით, უმთავრეს სადაო საკითხს შეადგენს საკონტრიბუციო თანხის საერთო განსაზღვრა, ქაღალდის მარკას უზრუნველყოფა ოქროს ღირებულების მიხედვით და ვერსალის ხელშეკრულობის ძალით მოქმედ საკონტრიბუციო კომისიის შეცვლა საერთაშორისო კომისიით.

გერმანია და ანტანტა

არა უახლოეს შემოდგომისა.

ბერლინი. 8 ივნისი. „ეკო დე პარი"-ს ლონდონელი კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემს, რომ ბალდვინს საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა შესაძლებლად მიაჩნია არა უახლოეს შემოდგომისა, ვინაიდან ბრიუსელის კონფერენციას, ალბად, მოჰყვება მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც მიზნად დაისახავს ახალ სეპარატიულ მოქმედებების დაწყებას ბელგიის და საფრანგეთის მხრივ.

„პატივცემული ჯენტლმენები ადრე გაიგებენ".

ლონდონი. 8 ივნისი. გუშინ, თემთა პალატის სხდომაზე კენვორტმა (ლიბერალი) ბალდვინს მისცა შეკითხვა: აწარმოებს თუ არა პრემიერი რაიმე მოლაპარაკებას საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ამერიკის და გერმანიის მთავრობებთან საკონტრიბუციო საკითხის და, კერძოდ, რურის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ. ამ შეკითხვაზე ბალდვინმა უარყოფითად უპასუხა, რის შემდეგაც პრემიერს და კენვორტის შორის მოხდა შემდეგი ფრაზების გაცვლა-გამოცვლა.

კენვორტი. ჩვენ აქედან გამოვიტანოთ თუ არა ის დასკვნა, რომ მთავრობა არავითარ ნაბიჯებს არ გადასდგამს?

ბალდვინი. არა.

კენვორტი. შეუძლია თუ არა მთავრობას გვაცნობოს ჩვენ, თუ როგორც ნაბიჯებს სდგამს ის?

ბალდვინი. პატივცემული ჯენტლმენები ადრე გაიგებენ ამას.

საკონტრიბუციო საკითხი

გერმანიის ნოტის ჩაბარება.

ლონდონი. 8 ივნისი. გერმანიის ელჩმა ლონდონში ჩააბარა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გერმანიის მთავრობის ნოტა და მემორანდუმი საკონტრიბუციო საკითხის შესახებ. ნოტა და მემორანდუმი საჩქაროდ განხილული იქნება ინგლისის მთავრობის მიერ. ამასთან ინგლისის ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ ხმები ინგლისის მთავრობის ამა თუ იმ პოზიციის შესახებ საკონტრიბუციო საკითხში ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ გერმანიის ნოტის მოსალოდნელ განხილვაზე.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა

საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებს თავის დაპირებას. 1894 წლიდან მოლოდინე გურია ელირსა რკინის გზას. ყველამ უწყის,—ამ რკინის გზის შენება დავიწყეთ გასული წლის აგვისტოში. დღემდის ბევრი უიმედოთ უყურებდა, ამბობდნენ: წარსულმა მთავრობებმაც-კი მოინდომა ამ რკინის გზის გაყვანა, მაგრამ ვერაფერი ვერ გააკეთეს და ეკონომიურად სუსტი საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც მტკიცე არსებობის ნიადაგიც არა აქვს და დღეს თუ ხვალ უნდა გაიქცეს, როგორ შესძლებს მის გაკეთებასო. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ.

საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა აღმშენებლობითი მუშაობას დღიდან მისი დაარსებისა; იმ დროს როდესაც მას არაფერი გააჩნდა, ეკონომიურად სუსტი, მაგრამ იმედით და გამბედაობით ალსავსე სხვა აღმშენებლობითი მუშაობასთან ერთად შეუდგა ამ რკინის გზის გაყვანასაც. მას გვერდში ამოუდგა გურიის მშრომელი გლეხობა, გამოეხმაურა ქალაქის მუშებიც თავიანთი წვლილის შეტანით, აგრეთვე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები. შეკავშირდა გურიის მშრომელი გლეხობა, ქალაქის მუშები, დაწესებულება-წარმოებები და საბჭოთა მთავრობა,—რომელმაც გაუწია ამ საქმეს ხელმძღვანელობა და დახმარება. ასეთი საერთო ენტუზიაზმით შეუდექით რკინის გზის გაყვანას გურიაში. თუ ნიკოლოზის და მენშევიკების მთავრობების დროს მარტო ცარიელი ლაყბობა იყო, დრო მიდიოდა მიწერ-მოწერაში, კრებების მართვაში, ბანკეტებში, უსაქმო მოგზაურობაში, ხალხის ფულების ფლანგვაში. და გურიის მშრომელი ხალხი იყულიფებოდა, თავადები და ჩინოვნიკები-კი დროს ატარებდნენ—ახლა-კი სულ სხვას ვხედავთ.

ჯერ ათი თვეც არ არის, რაც მუშაობა დავიწყეთ და რკინის გზის მუშაობის მთელი რაოდენობის 85 პროც. უკვე დამთავრებულია. მიწის სამუშაო 19,000 კუბ. საჟენიდან შესრულებულია 17.300 კუბ. საჟ. უმთავრესი ხიდები უკვე გაკეთებულია. დაგვრჩენია გასაკეთებელი 600 კუბ. საჟ. ცემენტის ბეტონის სამუშაოდან 250 კუბ. საჟ.—რაც შეადგენს მთელი სამუშევარის ერთ მეოთხედს. მასალა: ცემენტი, სილა-ხრეში და ხე-ტყე დამზადებულია. დაწყებულია ლიანდაგის დაგება, დაგებულია 5,5 ვერსტის მანძილზე ლიანდაგი, მუშაობა დიდი სისწრაფით მიდის. იმედი გვაქვს ოქტომბრამდე დამთავრდება რკინის გზის მუშაობა, რაც უდიდესი დღესასწაული იქნება გურიის მშრომელი ხალხისათვის.

მუშაობის პროგრამის მიხედვით მიმდინარე გაზაფხულზე უნდა დამთავრებულიყო რკინის გზის მუშაობა, მაგრამ გასული წლიდან წყალდიდობამ და გაზაფხულამდის გამუდმებულმა წვიმებმა დიდათ შეგვიშალა ხელი, შეუძლებელი გახდა მუშაობა, მაგრამ ენერგიული ზომებით და ხელმძღვანელობით, რაც მიეწერება **უფროს ინჟ. ამხ. კაციტაძეს და მუშა-მოსამსახურეთა** დაუღალავ მუშაობას, არ დაკარგულა არც-ერთი დღე ცოტად თუ ბევრად დარიანი.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ ეხლა რკინის გზა მიდის მხოლოდ ქალ. ოზურგეთამდე და ოზურგეთიდან რჩება დაშორებული გურიის უდიდესი ნაწილი და ჩოხატაურის რაიონი, რომელიც მდიდარია ტყით და მადნეულობით, სადაც აუცილებლად უნდა იქმნას გაყვანილი რკინის გზა **ოზურგეთ ჩოხატაურ-ხაჯვახის ან სამტრედიის ხაზით.** ამ გზით შესაძლებელი იქნება დამუშავდეს საუკუნოებით ხელ-უხლებელი ტყეები, მადნეულობა, რომელიც ბლომათ მოიპოვება ამ რაიონში: სპილენძი, რკინა, ფისი, სალებავი და სხვა. გზა ჩაუვლის აგრეთვე კურორტ ბახმაროს და გაივლის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ეს გზა ეკონომიურად და კულტურულად აამაღლებს გურიას და მეტი შემოსავალიც ექნება თვით რკინის გზას. საჭიროა ეხლავე მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, სანამ ნატანებ-ოზურგეთამდე რკინის გზის საჭიროებისათვის შეძენილი ინსტრუმენტები: წყლის საქაჩავებელი მანქანები, ნასოსები, ავტომობილები, ბარები, წერაქვები, ლომები და სხვა მრავალი სატეხნიკო ინსტრუმენტები გაიზნიროდეს. გურიის მშრომელი გლეხობა არ დაზოგავს თავის უკანასკნელ ენერგიას ამ მუშაობისათვის, გარდა ამისა ეს მიმართულება სამტრედიიდან ნატანებამდე მთავარ ლიანდაგს ამოკლებს 18—20 ვერსამდე, ესეც მისაღებია მხედველობაში.

აქვე აღვნიშნავთ იმ შემოწირულებებს, რომელნიც დღემდე ჯერ ყოფილა გამოცხადებული: **მიშა ნაკაშიძემ—30 მან. ოქრ., ამხ. გრიშა გოგოტიშვილმა—8,000,000 მ.** მანვე შეაგროვა მაზედ მინდობილ საქვითარო წიგნაკით თავის ნაცნობებს ამხანაგების შორის 15.100.000 მან. სულ 23.100.000 მან., სასადილო „სიცოცხლის" მეპატრონეებმა—500.000 მან., სასტუმრო „ჰოტელ ნოე"-ს მოიჯარადრე ნოე გლახუნის ძე სიხარულიძემ საამშენებლო საქმეების გამო თფილისში ჩამოსულ რკინის გზის ხელმძღვანელ და აგენტებისათვის რკინის გზის კომიტეტს დაუთმო თავის სასტუმროში ერთი ოთახი (ნომერი) განათებით, გათბობით და მოწყობილობით—უფასოდ, დღიდან რკინის-გზის დაწყებისა ვიდრე გათავებამდე. ეს უკანასკნელი შემოწირულება დღემდე კერძო პირებიდან შემოწირულებათა ერთეულებს აჭარბებს.

საამშენებლო კომიტეტი მადლობას უცხადებს მათ და აღუთქვამს, რომ გაამართლებს მათ მოლოდინს და მოკლე ხანში დაამთავრებს რკინის გზის მუშაობას. აგრეთვე მივმართავთ იმ ამხანაგებს, რომლებსაც აქვთ მიღებული საქვითარო წიგნაკები შემოწირულებათა შესაგროვებლად შემოიტანონ შეგროვილი შემოწირულებები და დაგვიბრუნონ მათ მიერ წაღებული წიგნაკები შემდეგი მისამართით: პუშკინის ქ. № 3, სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოში,—ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის კომიტეტში.

საამშენებლო კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ მიბაძონ ზემონაჩვენებ პირებს, დახმარება გაუწიონ კომიტეტს ნატანებ—ოზურგეთის რკინის გზის აღმშენებლობაში—ბევრს ნუ დაიშურებთ და ცოტათი ნუ დაირცხვენთ, თქვენი შემოწირული კაპეიკით დიდ დახმარებას გაუწევთ საერთო საქმეს.

საქ. ცენტრ. აღმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო რწმუნებული და კომიტეტის წევრი ნატანებ—ოზურგეთის რკინის გზის შენების საქმეში **გრიშა ხარჯველაძ**

ვინ არიან ამხ. ვოროვსკის მკვლელებ

ბერლინის გაზ. „ნაკანუნე"-ში მოთავსებულია ცნობილი იურისტის ბობრიშჩევ-პუშკინის წერილი. ავტორი სხვათა შორის სწერს:

ვოროვსკის მოკვლის ანალიზში მე მაინტერესებს ზოგიერთი ძნელი პუნქტები, რომლის გამორკვევას მე შევეცდები კრიმინალისტების ჩვეულებრივი დედუქციის მეთოდით.

კონრადი და მისი მეუღლე აცხადებენ, რომ მათ არ ჰყავდათ ხელის შემწყობი. მათი განცხადებისათვის უფრო მეტი სიმტკიცის მისაცემათ, მკვლელის ჯიბეში აღმოჩნდა ბარათი, სადაც ის განმარტავს ვოროვსკის მოკვლის მოტივებს.

აი, სწორედ აქ არის სასტიკი გადაჭარბება.

მას, საწყალს, მისი ცოლის სიტყვებით, ეშინოდა, რომ მისი გული ვერ გაუძლებს და გასკდება მკვლელობის დროს. და ამისათვის ტოვებს ბარათს. მაგრამ განა ამ სანტიმენტალობაზე უფრო დასაჯერებელი არ არის ის, რომ კონრადი არის მის ზურგს უკან მდგომი კამორრის იარაღი?

მეტად დამახასიათებელია ის, რომ მკვლელობის მოსახდენათ კონრადი ჩამოვიდა პოლონეთიდან.

კონრადის ცოლი სტყუის, როცა ამბობს, რომ მისმა ქმარმა „წაიღო" ას ფრანკი. ეს ფული მას გამოუგზავნეს ფოსტით, როგორც იუწყებიან პოლუნინისაგან. თუ კონრადი შურს იძიებდა ნათესავების დასჯის გამო (რუსეთში), რით აიხსნება, რომ მისთვის სრულიად გარეშე კაცი ფულებს უგზავნის მას ამ შურისძიების მოსახდენათ?

რით აიხსნება ისიც, რომ კონრად სამ წელს ითმენდა და ამ ხნის განმავლობაში შურის ძიება სისრულეში არ მოიყვანა? ვოროვსკი რომში იყო—და მისი მოკვლა იქ არ იყო ძნელ

კონრადის ცნობის შესახებ რუსეთში მისი ნათესავების დასჯის შესახებ მსჯელობისაგან თავს ვიკავებ ალბათ ამ ცნობას შეამოწმებენ. მაგრამ რომ კონრადის ჩვენებაც დამტკიცდეს, გასაოცარია მაინც, რომ აღშფოთებამ და ბრაზმა მხოლოდ სამი წლის შემდეგ იპოვა გამოსავალ მკვლელის ჩვენებაში ამ შესაბამი ბაზე მითითება საკმაო, რომ დავრ წმუნდეთ სინამდვილის გადამახინ ჯებაში: ის იყო ვიღაცას იარაღი.

მაგრამ ვის ხელში?

დღემდი გამორკვეული ფაქტებ ამაზე გადაჭრილი პასუხის მოცემი საშუალებას არ იძლევიან. და უნდ ვშიშობდეთ, რომ განათლებულ ევ როპაში დღემდისაც დაცულია კარ დინალ რიშელიეს შეგონება: „იუს ტიცია მორჩილი უნდა იყოს".

მაგრამ ჩვენ ამას ჩქარა გავიგებთ

კაპიტალისათვის მეტად საჭირ მომენტებში მოკლული იქნენ ჟორე სი, ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგ ისინი მოკლა ვიღაც გიჟებმა, რო მელთაც საკუთარი მოტივები ამოქ მედებდათ! მკვლელები არ დაუ ჯიათ. რას უზამენ კონრადის? მის ცემენ თუ არა საბჭოთა მთავრობა საშუალებას მიიღოს მონაწილეობ გამოძიებაში და გამოარკვიოს საქმი მთელი ვითარება. ასეთი მონაწილე ობა იქნებოდა იმის გარანტია, რომ საქმეს არ მიაფუჩეჩებენ.

ისუფლება.

ივნისი. **სტამბოლში სამართლომ დაადგინა განთავისუფლოს ყველა ბრალდებულები, რომელთაც ბრალი ედებათ კომუნიზმის გავრცელება, ვინაიდან კანონს სამშობლოს ღალატის შესახებ უკუმოქმედებითი ძალა არ აქვს.**

დაბრკოლებები.

ანგორა. 7 ივნისი. „ენი გიუნ"-ი მოწინავე წერილში სწერს: „როდესაც ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ მიგველო კარაგაჩი სარეპარაციო გადასახადის მაგიერ, მოკავშირეები შეგვპირდენ დანარჩენი საკითხების სასურველად გადაჭრა, მაგრამ საკითხები იურიდიული კონვენციის, კუპონების გადახდის, სრუტეების და სტამბოლის დაცლის შესახებ ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ბერძნები მოითხოვენ სეპარატიულ ზავს, რომელსაც ჩვენ არ მივიღებთ. ღიად რჩება საკითხი მცხოვრებთათვის იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც გამოწვეულია საბერძნეთის მიერ წარმოებული რეკვიზიციით. ბოლგარეთისათვის გადაცემულ ნოტებში გამოსჭვივის დასავლეთ-ფრაკიის დაპყრობის ტენდენცია. ამ რიგად, თუ გაუკეთებთ ჯამს უკანასკნელ კვირას, შეგვიძლია ვსთქვათ, „თუმცალა ჩვენ მიუახლოვდით ზავს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია დაბრკოლებები".

ქემალ-ფაშა უარყოფს გავრცელებულ ხმებს.

ანგორა. 7 ივნისი. ქემალ-ფაშამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც უარყოფს ხმებს, თითქოს „უფლებათა დაცვის" კანდიდატები მარცხდებიან.

მომენტი გაუშვეს.

ანგორა. 7 ივნისი. ლოზანას კონფერენციის მსვლელობის შესახებ გაზეთი „ტევფიკი ევფკიარ" სწერს: „არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ ზავის შეკვრაში, რადგან მოკავშირეები ხშირათ ცვლიან თავის პოზიციას. რა ოპტიმისტურად არ ვიყოთ განწყობილი, ვერ ვიქნებით დარწმუნებული იმაში, რომ მივიღებთ ისეთ ზავს, რომლის იმედი გვქონდა და როგორიც გვინდოდა. თითეული დღე გვაშორებს წარსული ზეიმის დროს".

ჩესტერის კონცესიების შესახებ.

ანგორა. 7 ივნისი. გაზ. „ტევფიკ ევფკიარში" მოთავსებულია ველიფ-ბეის წერილი ლოზანიდან, რომელშიც ის მონგანიას ფორმულის გადასინჯვას თვლის ოსმალეთის დამარცხებათ და მოუწოდებს ოსმალეთის მთავრობას არ წავიდეს არავითარ დათმობაზე სუვერენიტეტის საკითხში. გაზეთი აკრიტიკებს ჩესტერის კონცესიას და სწერს, რომ ჩესტერი მუშაობის ნაცვლად, თავისი მოსამსახურეების გადაყენების მეტს არაფერს აკეთებს.

შვეიცარიის ფინანსისტების წინადადება.

ანგორა 7 ივნისი. ლოზანადან მიღებული ცნობების თანახმათ, **შვეიცარიის ფინანსისტების ჯგუფი სთხოვს ანგორის მთავრობას ანატოლიაში მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მოწყობის ნებართვას, რის ნაცვლად პირდება სესხს 100 მილიონ შვეიცარიის ფრანკს.** ანგორის მთავრობამ წინადადება მისცა თავის დელეგაციას დაიწყოს მოლაპარაკება.

ოსმალეთის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ ბრალდებულებს.

ანგორა 6 ივნისი. სტამბოლის გაზეთები „ბოკიტ"-ი აღნიშნავს, რომ იმ ბრალდებულების პროცესზე, რომელთაც ბრალად ედებოდათ კომუნიზმის გავრცელება, მოგროვდა დიდ-ძალი ხალხი. ბრალდებულებს თანაგრძნობით უცქერის ხალხი. ისინი შემოიყვანეს დარბაზში ბორკილებში; დამცველთა პროტესტის შემდეგ, პროკურორმა განკარგულება გასცა მოეხსნათ მათთვის ბორკილები.

ლოზანას კონფერენცია

რუმინეთი უკმაყოფილოა.

ბერლინი. 5—6 ივნისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით რუმინეთის სამხედრო წრეები უკმაყოფილო არიან კარაგაჩის ოსმალეთისათვის გადაცემით, რადგან ეს საშვალებას აძლევს ოსმალეთს მოაწყოს ახალი სამხედრო ბაზა ბალკანეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ინდოეთში

თეირანი. 6 ივნისი. ინდოეთის ეროვნულ მოძრაობის აქტიური მონაწილენი ამ ჟამად აწარმოებენ ინდოეთის მნიშვნელოვან ქალაქების ჩამოვლას და მრავალრიცხოვან მიტინგებზე აგიტაციას ეწევიან თვითმართველობისათვის. ნაუკპერში დატუსაღებულია 100 მეტი დემონსტრანტი. უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პიტერმა, ახმედაბადის მიტინგზე განაცხადა, რომ ინდოეთის ნაციონალისტების პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ის გატარებული იქნება ერთ და იმავე დროს მთელ ქვეყანაში. მრავალრიცხოვან დატუსაღებათა გამო, რკინის-გზელთა კავშირის მდივანმა პანჯაბამ დეპეშით მიმართა მეფის მოადგილეს ინდოეთში, რომელშიაც ამბობს: **„ინდოეთის მუშები ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავენ ბოლშევიკურ პროპაგანდასა და ევროპის მუშათა მოძრაობის შორის. მუშები მოითხოვენ უფლებას თავის თავზე აიღონ ბოლშევიკურ ჯაშუშობაში ბრალდებულ შუაკატის დაცვა, მისი საჯაროდ გასამართლების დროს".**

სხვადასხვა ამბები

ამერიკა.

მწერალი სინდერი სატუსაღოდან განთავისუფლეს.

ნიუ-იორკი. 5 ივნისი. სატუსაღოდან გაანთავისუფლეს ამერიკელი მწერალი სინდერი, რომელიც დატუსაღებული იყო მსოფლიო ინდუსტრიის მუშათა პროფესიონალურ კავშირის სასარგებლოდ პროპაგანდისათვის.

საფრანგეთი.

პარიზი. 5 ივნისი. კარსელანში მდგომარეობა რთულდება. გაფიცვა გრძელდება.

ბელგია.

მაინც ვერ უშველის.

პარიზი. 5 ივნისი. ბელგიის რკინის გზის მუშები თან და თან უბრუნდებიან სამუშაოს. გზათა სამინისტრომ მიწერილობა დაგზავნა, ზოგიერთი მუშის დათხოვნის შესახებ. მთავრობა სასწრაფოთ ამზადებს ახალს წესდებას რკინისგზელებისათვის, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარი გაფიცვა.

ინგლისი

ინგლისი ცდილობს საკონტროლო კომისიის დატოვებას.

ნიუ-იორკი. 6 ივნისი. „დეილი გერალდ"-ი სწერს, რომ ინგლისის მთავრობა, მიუხედავად საფრანგეთის პროტესტისა, დაჟინებით მოითხოვს საკონტროლო კომისიის დატოვებას საარის ოლქში.

მუშები უკმაყოფილონი არიან ბინის კანონით.

ლონდონი. 5 ივნისი. ახალ ბინის კანონი უკმაყოფილებას იწვევს. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშები, რომელნიც ახალი კანონით უზრუნველყოფილნი არ არიან ბინებიდან გამოსახლებისა და ბინის ქირის გატარების მხრივ.

შვეცია

სტოკჰოლმი. 5 ივნ. კალატოზების კავშირის სტოკჰოლმის განყოფილებამ უარჰყო მისი წარმომადგენლების მიერ დადებული ხელშეკრულობა და გაფიცვა გავრცელდა სტოკჰოლმის ყველა საკალატოზო სამუშაოებზე.

ბოლგარეთი

სტამბულინსკის განცხადება.

სოფია. 6 ივნისი. პარლამენტში ბულგარეთისათვის ეგეის ზღვაზე გამოსვლის შესახებ მოხსენების დროს პრემიერმა სტამბულინსკიმ განაცხადა: „ბულგარეთი გამოსავალს ეგეის ზღვაზე მოითხოვს არა საბერძნეთის და ოსმალეთის, არამედ საკუთარი ტერიტორიიდან.

ლიტვა

ვერ შერიგებიან.

კოვნო. 6 ივნისი. ახალი სეიმის საზეიმო გახსნის დროს სეიმის თავმჯდომარემ სმოლენსკიმ განაცხადა: „ვილნოს რაიონი ჩვენ ძალით ჩამოგვაშორეს. ჩვენ ამას არ შეურიგდებით".

გერმანია

ნიურენბერგის ფაშისტების გამოსვლა.

ბერლინი. 6 ივნისი. **სოციალ-დემოკრატების კრებას ქ. ფიურტში თავს დაესხნენ ნიურენბერგელი ფაშისტები. შეტაკების დროს მოკლეს ერთი სოციალ-დემოკრატი. დაიჭრა მრავალი დამსწრეებიდან.**

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ეკატერინბურგი. 6 ივნისი. იხსნება საოლქო სასოფლო-სამეურნეო ბანკი 800.000 მანეთის ძირითადი კაპიტალით.

კაპიტალი სდგება დამფუძნებელი პაებიდან ხუთი მანეთის ღირებულებისა თვითეული.

გოგირდის ვანების კურორტი.

პსკოვი. 6 ივნისი. 15 ივნისს იხსნება გოგირდის ვანების კურორტი, რომელიც ადგილობრივ პროფკავშირთა ხარჯზე იქნება შენახული.

„გლეხის სახლი".

გომელი. 6 ივნისი. მრავალრიცხოვან გლეხების დელეგატების თანადასწრებით გაიხსნა საგუბერნიო გლეხის სახლი.

ნისტრო

მოსკოვი. 5—6 ივნის

ში გამოქვეყნებულია ნორვეგ

გარეო საქმეთა მინისტრის პას

ნორვეგიაში საბჭოთა წარმომადგენელის ამხ. კოლონტაის ნოტაზე ინგლისის კრეისერ „ხეიმდალის" რუსეთის ჩრდილოეთის წყლებში შემოსვლის გამო. პასუხში ნათქვამია,

ნ მხო-

ედები-

ა და რომ,

რაფიული მომ-

შეუშლიდა

შორის მე-

გობრულ ბას. თავისი მშვიდობიანი კილოთი ნორვეგიის ნოტა ბევრათ განირჩევა კერზონის ულტიმატუმისაგან.

მეფის დამქაშები

„იზვესტია"-ს წერილი.

მოსკოვი. 7 ივნისი. ამხ. სტეკლოვი „იზვესტიაში" სწერს „მეფის დამქაშების" სათაურით: „მეფის დამქაშები—ეს არის მებრძოლი ორგანიზაცია შავრაზმელთა მონარქისტული პარტიისა, რომელიც ცნობილია როგორც „ლიგა საფრანგეთის მოქმედებისა". ეს ორგანიზაცია უკვე 20 წელიწადია, რაც არსებობს და პოლიტიკურ ბრძოლაში ხმარობდა ფაშისტურ მეთოდებს, გაცილებით უფრო ადრე სანამ მუსოლინის ფაშიზმი წარმოიშობოდა. 31 მაისს ამ ლიგამ პარიზის მეცნიერთა საზოგადოების დარბაზში გამართა მიტინგი საფრანგეთის ფაშიზმის გასაშუქებლად. მიტინგზე ორატორებად უნდა გამოსულიყვნენ რადიკალები და ზომიერი სოციალისტები. ხუთი ორატორისაგან, რომელნიც მიტინგზე გამოსვლას აპირებდნენ, საქს ქუჩაში თავს დაესხნენ მეფის დამქაშები სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი მიტინგზე მიდიოდნენ. ყველა თავდამსხმელნი თავისუფლათ მიიმალნენ.

საერთოთ მონარქისტები, და კერძოთ მეფის დამქაშები ეკუთვნიან ბურჟუაზიის უმაღლეს წრეებს, მისი სიყვარულით დი მფარველობით სარგებლობენ, და მათთვის საიმედო დასაყრდნობ ძალას წარმოადგენენ, რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მონარქისტებისა და რესპუბლიკანურ ბურჟუაზიას შორის კამათი—ეს მხოლოდ უბრალო, კინკლაობაა ერთი ოჯახის წევრთა შორის.

გამოცდილებით ვიცით, რომ საფრანგეთის გათავხედებულ ფაშიზმს მხოლოდ რევოლიუციონური პროლეტარიატი ამოსდებს ლაგამს.

სანამ მთავრობის სათავეში ბურჟუაზია სდგას, როიალისტებს არაფრისა არ უნდა ეშინოდეთ. უკეთეს შემთხვევაში საქმე დაბოლოვდება რამდენიმე უმნიშვნელო შეჯახებით და ბურჟუაზიის საყვარელ ბუნაგს მონარქისტების ხროს თვალის ჩინივით გაუფრთხილდებიან, მუშათა კლასის აჯანყების დროს, რომლის წინააღმდეგ ბურჟუაზიული მთავრობა დარაზმავს ამ ვაჟბატონებს.

უცხოეთის ცხოვრება

შრომის თვით ღირებულება ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში.

ვაჭრობის მფარველობის საზოგადოების კრებაზე ლონდონში ერ. გედდესმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც მას მოჰყავს საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა ჯდება შრომა ერთი და იგივე საგნის დამუშავების დროს ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში.

შედარების დროს აღებულია წარმოების ერთი და იგივე წესი და გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორები: ღირსება, ადმინისტრაცია, კონტროლი, მანქანები. შედარებიდან მტკიცდება, რომ შრომის თვითღირებულება გერმანიისათვის გამოიხატება 2, საფრანგეთისათვის 4, და დიდი-ბრიტანეთისათვის 6, საფრანგეთის და გერმანიის მუშის შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებაზე ლაპარაკი საჭირო არ არის; მომხსენებლის აზრით, თვითღირებულების განვითარების მიზეზია დაბალი ვალიუტა გერმანიასა და საფრანგეთში. შემდეგ ის ითვალისწინებს მსოფლიო ბაზრების მომავალს და ამჩნევს საფრთხეს, რომლის თავიდან აცილება შეიძლება რურის ინციდენტის ლიკვიდაციით.

ნავთის მსოფლიო მარაგი.

„The Economist"-ის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ცნობები ნავთის მსოფლიო მარაგის შესახებ. ცნობები მოყვანილია მილიონ ბარილებით (42 ამერიკ. გალლონი, ან 6,6 ბარილი ტონაში), პარალელურად მოყვანილია ცალკე რაიონების სიძლიერე,—საფუძვლათ აღებულია ამერიკის სიძლიერე (100), შეერთებული შტატები 7000 (სიძლიერე—100); კანადა 995 (14); მექსიკა—4525 (65); სამხრეთ-ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილი პერუს გამოკლებით—5730 (82); სამხრეთ-ამერიკის სამხრეთ ნაწილი ბოლივიითურთ—3550 (51); ალჟირი და ეგვიპტე—925 (13); სპარსეთი და მესოპოტამია—5280 (83); რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ციმბირის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და კავკასია—5830 (83); რუმინეთი, გალიცია და ევროპის დასავლეთი ნაწილი—1135 (18); რუსეთის ჩრდილოეთის ნაწილი და სახალინი—925 (13); იაპონია კუნძულ ფორმოზით—1375 (20); ინდოეთი—945 (14); აღმოსავლეთ ინდოეთი—3015 (46). სულ 43.055 მილიონი ბარილი (6,523 484.848 ნახევარ ტონა).

ამიერ კავკასიის პროვინციაში

საქართველო

აჭარა.

ვენახებისათვის.

ბათომი. 7 ივნისი. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილება ტფილისში ჰგზავნის 4000 ტომარა იტალიურ გოგირდს.

საქონლის მანეთი.

ბათომი. 7 ივნისი. საქონლის მანეთის ღირებულობა ამის შემდეგ გამოცხადდება ყოველი თვის 1, 8, 15 და 27-ში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მოქმედება მაისში.

ბათომი. 7 ივნისი. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მოღვაწეობა მაისის განმავლობაში გამოიხატა საზღვარ-გარედ ძირტკბილას გაგზავნით და შალეულობის შეძენით ცენტრისათვის. ეს უკანასკნელი ოპერაცია იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ საბაჟოში მყოფი ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველომ წინადადება მისცა ყველა ფართლეულობის მეპატრონეს, თავისი საქონელი მიეყიდნათ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსათვის.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ამ შეძენილ ფართლეულობის ნაწილს ბაქოს ბაზრობაზე გაჰგზავნის, ნაწილს კი შესთავაზებს სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერატივებს. მთელი ნასყიდი საქონლის რაოდენობა ამ დღეებში გამოირკვევა.

გვალვა და მოსავალი.

ბათომი. 7 ივნისი. ბათომისა ქობულეთისა და აჭარის მიდამოებში საშინელი გვალვაა.

ზემო აჭარაში, ხშირი წვიმების გამო, მოსავალს კარგი პირი უჩანს.

მუშათა კვარტალის მოწყობა

ბათომი. 7 ივნისი. ქალაქის საბჭოს მუშათა კვარტალის მომწყობმა კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ჭაობში სცხოვრობს მცხოვრებთა მშრომელი ნაწილი და ბათომის კლიმატიურ პირობებში წვის დროს ეს ადგილი სრულებით წყლით ივსება, წინადადება მისცა კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას შეუდგეს ჭაობის ქუჩების ამაღლებას და მათ მოკირწყვლას; თუ კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას არ შეუძლია ამ მუშაობის გაკეთება, მაშინ უფლება მისცეს მან ჭაობისა და ლიმანგელს მცხოვრებთ ქუჩების ასამაღლებლად გადმოიტანონ მიწა ქალაქის ადგილებიდან; მიწის გადმოტანა უნდა მოხდეს კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ხარჯით მეჯაგვეების კავშირის საშუალებით, რომელნიც კომუნალურ მეურნეობის დებიტორები არიან.

აზერბეიჯანი

ვენახების წამლობა

ბაქო. 7 ივნისი. ბაქოს საბჭოს საადგილ-მამულო განყოფილება შეუდგა ვენახების წამლობას ბაქოს მაზრის იმ ბაღებში, რომელნიც საბჭოს გამგებლობაში არიან. პირველი აცრა უკვე დამთავრებულია, განზრახულია აგრეთვე აცრის მოხდენა გლეხების ბაღებშიც. თუ ამ სეზონში არ იქნა გატარებული აცრა, მაშინ მომავალ წელში ვენახებს ელის ავადმყოფობის გავრცელება.

ნავთის ფრონტზე

ბაქო. 7 ივნისი. 1 და 2 ივნისის განმავლობაში ყველა სარეწავებზე ამოღებულია 1.216.000 ფუთი ნავთი, აღებულია გადასაქაჩავად 857.000 ფუთი, ამობურღულია 153 საჟ.

მოსავალი საშუალოზე უკეთესია

ბაქო. 7 ივნისი. ყველა მაზრების ნათესების მდგომარეობა იმედს იძლევა, რომ მოსავალი საშუალოზე უკეთესი იქნება. ზოგიერთ მაზრებში პური დააზარალა სეტყვამ, კალიამ, პურის პეპელამ და მინდვრის თაგვებმა.

წითელი დროშა

ბაქო. 7 ივნისი. ბაილოვის რაიონის წყლის ტრანსპორტის მუშებმა ბაქოს საერთო მე-12 კონფერენციის აღსანიშნავად კომპარტიას მიართვეს წითელი დროშა.

სომხეთი

სომხეთი სრულიად რუსეთის გამოფენაზე

ერევანი. 7 ივნისი. სომხეთის პავილიონის აშენება სრულიად რუსეთის გამოფენაზე მინდობილი აქვს სომხეთის ეკონომიურ წარმომადგენლობას მოსკოვში. პავილიონისათვის დათმობილია 50 კვ. საჟენის სივრცე. პავილიონი აშენებული იქნება სომხური სტილით.

პედაგოგიურ კურსებზე

ერევანი. 7 ივნისი. განათლების განყოფილება გზავნის ბაქოში გასამეორებელ პედაგოგიურ კურსებზე 16 მუსლიმან მასწავლებელს.

ახალი სისტემით

ერევანი. 7 ივნისი, სარდარაბადის რაიონში მუშაობს 18 ტრაქტორი. გლეხები სიამოვნებით გადადიან ტრაქტორებით მუშაობაზე, რადგან გრძნობენ მათ უპირატესობას ძველი სისტემის წინაშე.

მოსავალი საშუალოზე უკეთესია

ერევანი. 7 ივნისი. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით ახალ-ბაიაზეთის მაზრაში აწეული ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელის, საგაზაფხულოსი - საშუალოზე უკეთესი; ზანგეზურის ნათესები მშვენიერია. ხეხილები და ბალახი კარგია. მოსალოდნელია კარგი მოსავალი, თუ კალიასთან ბრძოლა შესაფერად იქნა წარმოებული. კამარლინის რაიონში პური, ქერი და ვენახი საშუალოზე უკეთესია, ხეხილები—საშუალო.

მეაბრეშუმეობა

ერევანი. 7 ივნისი. მეგრინის მაზრაში გაჩნდა ავადმყოფობა, რომელიც ანადგურებს აბრეშუმის ჭიას. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღო შესაფერი ზომები.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ახალციხის სამაზრო კომიტეტის მუშაობა.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის სამაზრო კომიტეტის მთელი მუშაობა მიმართულია ორგანიზაციის გაფართოებისა და გამტკიცებისაკენ. პირველი მარტისათვის ჩვენ ორგანიზაციაში ირიცხებოდა 182 წევრი. საანგარიშო დროის განმავლობაში წევრების რიცხვი შედარებით გაიზარდა.

სოფ. ვანეში მოწყობილია უჯრედი 15 წევრის შემადგენლობით, უჯრედი მოწყობილია აგრეთვე ქალაქში, საყოველთაო სამხედრო სწავლის სამმართველოსთან. სულ ორგანიზაციაში მიღებულია 85 კაცი, მათგან 3 მოხელე, 2 მოწაფე და 80 გლეხი. ამ ჟამად ორგანიზაციაში ითვლება 299 კაცი, რომელთაგან 95 წევრია და დანარჩენი კანდიდატები. უდისციპლინობის გამო გამორიცხულია 28 კაცი, მექანიკურად გამოვიდა 20 კ. ჰასაკზე გადაცილების გამო.

მოხსენებებს აკეთებენ თვით უპარტიოები.

უჯრედების კრებები გაცხოველებით მიმდინარეობს. უჯრედების მუშაობაში ებმებიან არა მარტო წევრები, არამედ უპარტიო ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, რომელნიც ხშირათ მოხსენებებს აკეთებენ კრებებზე.

პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ლიკვიდაცია იყო ჯერ-ჯერობით წერა-კითხვის უცოდინართა 20 პროც. კავშირის ძველ წევრებს შორის—100 პროც.-ს; ამ ჟამად მიმდინარეობს წერა-კითხვის ცოტათი მცოდნეთა ლიკვიდაცია.

მაზრაში მუშაობს 8 პოლიტიკური წრე, ქალაქში ერთი. არის აგრეთვე საქალაქო პარტიული სკოლა. მეცადინეობა პოლიტიკურ წრეებში ხდება კვირაში სამჯერ, სამაზრო წრეებში კვირაში ორჯერ. წრეებში მეცადინეობის სისტემა—ბაასია, სკოლებში კი ლექციური და სემინარიული.

გამომცემლობის სფეროში.

ყოველ კვირეულად იცემა კედლის გაზეთი „წითელი საყვირი"; მასალების მიუღებლობის გამო, ადგილებიდან გაზეთი მოიკოჭლებს. გამოწერილია გაზეთები: „სპარტაკი", „მომავალი", „წითელი ვარსკვლავი" და ჟურნალი „წითელი ჯეჯილი".

ბაქოს პარტიული კონფერენცია

ა. კ. პ. ბ. ქ. ანგარიში.

ბაქო. 7 ივნისი. 6 ივნისს მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში დიდის ზეიმით გაიხსნა ბაქოს მეთორმეტე პარტიული კონფერენცია. დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს კომიტეტის მდივნის ამხ. მირზოიანის მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ.

სამეურნეო აღდგენის გზაზე.

საანგარიშო პერიოდი მეთერთმეტე კონფერენციის შემდეგ დიდათ განსხვავდება წინა პერიოდისაგან. ბაქოს ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აპარატი შეუგუა ახალ პირობებს, ხელს უწყობდა სამეურნეო აღდგენას და ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა საორგანიზაციო და იდეოლოგიურ საკითხებს. ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს მეურნეობის აღდგენის დაწყებითი პერიოდი.

ნავთის მრეწველობა გაიზარდა.

დიდი ნაბიჯი გადაიდგა ნავთის მრეწველობის აღსადგენათ და გასაფართოებლათ. წარსული წლის ივნისიდან ა. წ. ივნისამდი ამობურღულია 14.773 საჟენი, წინა პერიოდში კი—მხოლოდ—5.418. ამავე ხნის განმავლობაში ამოღებული ნავთის რაოდენობა წინა პერიოდთან შედარებით 160-დან 200 მილიონამდი გაიზარდა.

იზრდება დანარჩენი მრეწველობაც.

ასეთივე აღდგენა, თუმცა უფრო ნაკლებ ფარგლებში, ემჩნევა მეურნეობის დანარჩენ დარგებსაც: ფაბრიკა-ქარხნებს, რომელთაც აერთებს ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარიატი, წყლისა და რკინის გზის ტრანსპორტს, კოოპერაციას და სხვა. უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ბაქოში ელექტრონის ტრამვაის მოსაწყობათ. საგრძნობი შედეგებია მიღწეული აგრეთვე სასკოლო საქმეში. სკოლებში კატასტროფიულ მდგომარეობას ბოლო მოეღო.

პროფესიული მუშაობა.

მრეწველობის აღდგენას თან სდევს მუშების შრომის ხელფასის შეუწყვეტელი ზრდა. სწორი პროპორცია შრომის ხელფასის გადიდებასა და წარმოების ნაყოფიერების ზრდას შორის დაცული არ არის. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ ვერ შევჩვევივართ სამეურნეო ანგარიშიანობას და ჩვენ საჭიროებათა შესაძლობების შეთანხმებას. აზერბაიჯანის პროფკავშირები გამაგრდენ და მტკიცე კავშირი აქვთ მუშათა კლასთან. კარგათ მიმდინარეობს საწევრო გადასახადების ინდივიდუალურათ შემოტანის საქმე.

კავშირი უპარტიო მასასთან.

კავშირს ემჩნევა ზრდა. მის გავლენის ქვეშ მყოფ უპარტიო ახალგაზრდების რიცხვი 8000 აღწევს. საერთოდ ახლა უკვე მიღწეულია განსაკუთრებით მტკიცე კავშირი პარტიასა და უპარტიო მასას შორის. პარტიასა და მუშათა კლასს შორის სრული თანხმობა სუფევს და პროლეტარიატი შეგნებულად მიყვება პარტიას. არაჩვეულებრივათ იზრდება ლტოლვა პარტიისაკენ უპარტიო მუშებში: წარსული წლის ნოემბერში პარტიას ყავდა 308 კანდიდატი, ამა წლის მაისში კი—1360. პარტიის წევრთა რიცხვი 3700-დან 4,080-დი გაიზარდა.

სოციალური შემადგენლობა.

ორგანიზაციის 60—70 პროც.-ს შეადგენენ კვალიფიციური მუშები. თურქები შეადგენენ 33 პროც. კანდიდატებს შორის ეს პროცენტი უფრო მაღალია. პარტიის წევრთა მთელი რიცხვიდან მხოლოდ 1200 არ აქვს პროლეტარული მუშაობის სტაჟი.

მანქანასთან მომუშავეთა პროცენტი—42,2 პროც. უდრის, კანდიდატებს შორის მანქანასთან მომუშავეთა პროც 60 უდრის. ბაქოს ორგანიზაციაში არ არის არისტოკრატია და პარტიის უბრალო წევრები. პარტიისაგან მოწყვეტის იშვიათი შემთხვევები არის უმთავრესათ მეურნეებს შორის.

ჩვენი მეურნეები.

ჩვენს მეურნეებს მუშაობა უხდებათ მეტად მძიმე პირობებში, წვრილ ბურჟუაზიულ რკალში. ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი მეურნეები. როცა საჭიროა მათი გინება, ჩვენ მათ ვაგინებთ, მაგრამ როცა მეურნეებისათვის საჭიროა უკეთესი პირობების შექმნა, ჩვენ ამას ვივიწყებთ. პარტიის შიგნით საჭიროა ერთნაირი დამოკიდებულების შექმნა პარტიის მუშაკებსა, პროფესიონალისტებსა და მეურნეებს შორის. საჭიროა თითეული ჩვენი მუშაკის გარშემო ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის ნაყოფიერ მუშაობას. ამის გარეშე სახელმწიფო მრეწველობის გაძღოლა შეუძლებელია.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ძლიერ გამოცოცხლდა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. 1000 კაცი უშუალო მონაწილეობას იღებს ამ მუშაობაში. მოეწყო 43 ელემენტარული წრე, 16 თურქული შკოლა, პოლიტიკური განათლების 2 სკოლა—რუსული და თურქული. ამას გარდა ბევრი ამხანაგი სწავლობს მუშათა ფაკულტეტებზე და უმაღლეს სასწავლებლებში. მათი საერთო რიცხვი 3600 აღწევს. „ბაქოს მუშას" გამომცემლობასთან მოეწყო თურქული სექტორი, რომელმაც გამოსცა 19 წიგნი, 11 ითარგმნება. კომპარტიის გავლენა უმაღლეს სასწავლებლებში წარსულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. სტუდენტურ ინტელიგენციაში გარდატეხა ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მიღებული გამოცდილება და გავაღრმაოთ ამ მხრივ მუშაობა. უმაღლეს სასწავლებლებში მიღება უნდა ხდებოდეს ჩვენი ხელმძღვანელობით.

მუშაობა ინტელიგენციას შორის.

ინტელიგენციის მეორე ნაწილი—მასწავლებლები და ტეხნიკური ინტელიგენცია მზად არის ემსახუროს საბჭოთა სახელმწიფოს. ეს ჯგუფები წინეთ მტრულათ იყვნენ განწყობილი ჩვენდამი. ამ ჯგუფებში საჭიროა ჩვენი მუშაობის გაძლიერება. ამ მხრივ ცოტაოდენი რამ გაკეთდა. განსაკუთრებით საჭიროა მუშაობის გაძლიერება თურქ მასწავლებლებს შორის. ინჟინრებს შორის მრავალია ისეთი, რომელსაც პარტიაში შემოსვლა უნდა. პროფკავშირებთან ტეხნიკური ძალების სექციის მოწყობა მხოლოდ ახლა დაიწყო. ინჟინრების ჩვენს მუშაობაში ჩაბმით ჩვენ უფრო ადვილათ შევძლებთ ურთიერთობის მოგვარებას საქარხნო კომიტეტებთან და კომუჯრედებთან.

ადგილობრივი თვითმოქმედება.

ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს კედლის გაზეთებს, რომლებიც ხატავენ რაიონებისა და კომუჯრედების ცხოვრებას და აძლიერებენ ადგილობრივ თვითმოქმედებს. ადგილობრივი ინიციატივა ამ მხრივ მეტად დიდმნიშვნელოვანია.

მუშათა პრესა.

რაც შეეხება ჩვენს პარტიულ და საბჭოთა პრესას, ის ბევრათ გაუმჯობესდა. ტირაჟი შეუწყვეტელათ იზრდება. გაზეთისადმი ინტერესი ფართო მასაში ძლიერდება.

მუშაობა ქალებს შორის.

ქალთა შორის მუშაობის პირობები ახლა უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე წინეთ. მიუხედავათ ამისა სწარმოებს დიდი მუშაობა, ეწყობა კლუბები, სკოლები, დაიწყო ბრძოლა პროსტიტუციასთან, მოეწყო მუშაობა თურქ. და მოსამსახურე ქალებს შორის.

გადადგმულია დიდი ნაბიჯი წინ.

მართალია ა. კ. პ. ბაქოს კომიტეტის მუშაობაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იყო ბევრი შეცდომები, მაგრამ მიუხედავათ მაინც ამისა დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ.

---

18 ივნისს მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესია.

სესიის დღის წესრიგი:

1) დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებისა.
2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3) სამოქალაქო კოდექსი.
4) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა.
5) აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.
6) ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შემოღება.
7) თიანეთის მაზრის შემოერთება დუშეთის და თელავის მაზრებზე.
8) საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.
9) საქართველოში შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შესახებ.
10) მიმდინარე საკითხები.

ს. ს. ცაკის მდივანი: **პ. საბაშვილი.**

ყველა მაზკომებს და ოლქკომებს

15 ივნისისათვის მოწვეულია სააღრ. განყ. გამგეთა თათბირი

დღის წესრიგშია:

1. აღრიცხვის უახლოესი ამოცანები, 2. აღრიცხვა პასუხისმგებელ და არა ლეგალურ პირობებში მომუშავეთა, 3. სრულიათ საქართველოს აღწერა, 4. სტატისტიკა, 5. მიმდინარე საქმეები.

თქვენმა საღრიცხვო განყოფილებათა გამგეებმა უნდა წარმოადგინონ დაწვრილებითი ანგარიშები (წერილობითი სახით) სააღრიცხვო-სასტატისტიკო აპარატის მდგომარეობის შესახებ მაზკომების და ოლქკომების პასუხისმგებელ მდივანთა ხელის მოწერით და კონკრეტიული წერილობითი მოსაზრებანით.

საჭიროა წამოიღოთ თან ყველა ის მასალები, რომელნიც მოთხოვნილია ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარული მოწერილობებში. აგრეთვე სავალდებულოა სია მარქაფა ჯგუფებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ მომუშავეებისა (ფორმა № 1) მათი დახასიათებით.

ცენტ. კომ. მდივანი **ქართველიშვილი.**
სააღრიცხვო სტატისტ. განყ. გამგე **ლიცინოვი.**

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი 26 კომისარის სახელობის

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში არის მხოლოდ ერთი, საზოგადო-პედაგოგიური ფაკულტეტი, რომელიც უნდა გახსნილიყო ა. | წ. 15 თებერვალს მთავრობის დადგენილების თანახმად, მაგრამ ეს დანიშნულ დროსთვის არ მოხერხდა, ვინაიდან გამოცდებმა და ამხანაგების ჩამოსვლამ სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან დაიგვიანა.

საზოგადო პედაგოგიური ფაკულტეტის კურსი ოთხი წლიანია. მეცადინეობა სწარმოებს 20 მარტიდან. ხსენებული კომუნისტური უნივერსიტეტი ჯერ კიდევ დაუწყობელია, ორგანიზაციულ პერიოდში იმყოფება.

უნივერსიტეტის აკადემიური მხარე თანდათან უმჯობესდება.

საზოგადო პედაგოგიური ფაკულტეტის მიზანია უფრო ღრმა ცოდნის მიცემა იმ მუშურ-გლეხურ მოზრდილებისათვის და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მოსწყდნენ თავის გრდემლს და გუთანს, ან საბჭოთა აღმშენებლობას და მოვიდნენ აქ სერიოზული კომუნისტური განათლების მისაღებად, ოთხი წლის შემდეგ ამ ფაკულტეტმა უნდა მოგვცეს მარქსისტული ცოდნით აღჭურვილი წითელი პედაგოგები, პარტიული სკოლების და ტეხნიკუმების ლექტორები და სხვა.

ფაკულტეტზე ირიცხება 119 სტუდენტი; მათ შორის აზერბეიჯანიდან 22 ამხ., სომხეთიდან 17, საქართველოდან 53, პოლიტგანყოფილების 37. სულ 119 ამხ.

სასწავლო აკადემიური მხარე შემდეგ ფორმებშია ჩამოყალიბებული: არის ოთხი ძირითადი სასწავლო ჯგუფი და მეხუთე მოსამზადებელი ჯგუფი.

მეცადინეობა ფაკულტეტზე სწარმოებს შემდეგ საგნებში: კულტურის ისტორიაში, სოციოგრაფიაში (ეკონომიური გეოგრაფია) ფიზიკა-მათემატიკაში, ზოოლოგია—ბოტანიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიაში და რუსულ ენაში. უნივერსიტეტს ყავს მცოდნე ლექტორები. მათ შორის მარქსისტი პროფესორები: დუბენსკი სოციოგრაფიაში და სმირნოვი კულტურის ისტორიაში—ეს საგნები მთავარ საგნების რიცხვში შედის.

მომავალ სააკადემიო (სასწავლო) წლიდან გაიხსნება პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტი.

მეცადინეობა ხსენებულ ფაკულტეტზე სწარმოებს რუსულ ენაზე, როგორც საერთო ენა ფაკულტეტის შემადგენლობისათვის.

ფაკულტეტის ლექტორთა შემადგენლობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

უნივერსიტეტში არის აგრეთვე ქართული სექტორი დაბალი და საშვალო ჯგუფით, და რუსული სექტორი. (ხსენებული სექტორები ყოფილი ცენტრალური პარტიული სკოლაა). ქართულ სექტორში ირიცხება 42 ამხ. დაბალ ჯგუფში 22 და საშვალო ჯგუფში 20.

რუსულ სექტორში ირიცხება 37 ამხ. ხსენებულ სექტორებში მეცადინეობა სწარმოებს 1922 წლის სექტემბრიდან. სექტორების მსმენელთა გამოშვება მოხდება დაახლოებით ა | წ. 15 ივნისს.

მთელი უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური (სასწავლო), ისე ეკონომიური მხარე ნორმალური და ფრიად დამაკმაყოფილებელ კალაპოტში ჩადგა. რაც უპირველეს ყოვლისა უნივერსიტეტის რექტორი ამხ. მ. ოკუჯავას ენერგიულ მუშაობას მიეწერება.

ქართულ-რუსული სექტორების ლექტორთა შემადგენლობა სათანადოდ დამაკმაყოფილებელია. ქართულ და რუსულ სექტორში გადიან შემდეგ საგნებს: ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია, რ. კ. პ. და მუშათა მოძრაობის (რუსეთის და დ.—ევროპის) ისტორია, უფლება და საბჭოთა კონსტიტუცია, ქართულ-რუსული ენები და სხვა.

ხსენებული სექტორები სასწავლო წელს ათავრებენ დაახლოებით 15 ივნისს, მოხდება მათი გამოშვება, რომლებიც ერთი თვის შვებულების შემდეგ, გადიგზავნებიან საქართველოს მაზრების სხვადასხვა კუთხეებში და შეუდგებიან პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობას.

უნივერსიტეტში არის თურქული სექტორი 25 მსმენელით; ამ სექტორის მეცადინეობა დაიწყო ამ ბოლო ხანებში. საზოგადო—პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტები ერთი თვის შვებულების შემდეგ გადიგზავნებიან ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში სამუშაოზედ ორი თვით, რის შემდეგ დაუბრუნდებიან სწავლას.

საზ.—პედ. ფაკ.-ის სტუდ. **ლავრენტი ძიძიგური.**

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(8 ივნისი)

ჩერვონცები —12,500 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.)—15,000 ათასი
დოლარი (ჩეკები)—3,450 ათასი
ლირა — — —2,150 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშნები—20.

ძვირფასი ლითონების კურსი

(8 ივნისი)

(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯით—6 მ. 48 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 24 კ.; ვერცხლი 84 სინჯით—მისხალი 12,5 კ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—32 კ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(8 ივნისი).

მთელი დღის განმავლობაში დიდი მოთხოვნილება იყო ჩერვონცებზე, რომლის კურსი მტკიცეა. დანარჩენ ვალიუტაზე უცვლელია.

ბირჟის მოთხოვნილება.

შპაგატი, რკინა, მავთული № 14. ფხვნილი შაქარი, ბრინჯი, ქვა-მარილი, თოკები, ჩაი, თამბაქო, გოგირდი „ბუდა“, შაბიამანი, ბამბა, მატყლი, ლურსმანი, ქინაქინა, ფქვილი 1 ხარ. ნაწლავები, ბრეზენტი, ნიჩბები, ფეხსაცმელი სამუშაო.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

გოგირდის სიმჟავე 65 ნახ. გრ., კაუსტიკური სოდა, ფანჯრის მინები, რკინა, მზესუმზირას ზეთი, მატყლი, შაქრის ფხვნილი, გერმანული მედიკამენტები, ფეხსაცმელი „სკოროხოდი“, რუსული ასანთი, ლურსმნები, გოგირდი „ბუდა“, ნაწლევები, მარსელის საპონი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(8 ივნისი).

მარცვლეულის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება შესუსტებულია. დანარჩენ ბაზარზე—უცვლელია.

მუშკოოპის ფასები.

თეთრი პური - 45 ათასი მან. თეთრი ფქვილი 1 ხარისხისა—100 ათ. მეორე ხარისხის ფქვილი—70 ათ. ფხვნილი შაქარი—340 ათ. საპონი „ბაბიტი“ 350 ათ. საპონი „ტოლლე“ 340 ათ. ადგილობრივი საპონი—330 ათ. ასანთი—25-40 ათ. ლობიო—25-35 ათ. მან.

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბითუმათ).

ყუბანის ფქვილი—1500—1600. ადგილობრივი ხორბალი—1400—1450. აკულინის ბრინჯი—1800. აგდაშის ბრინჯი—3700—4400. შაქარი რაფინადი—50,000 ფუთი. კარაქი—24,000—26,000. ერბო—20,000—22,000.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბაზრობის განყოფილებაში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბაზრობის განყოფილებასთან დაარსდა ბაქოს ბაზრობის ტფილისის ბიურო, რომელშიაც შედიან სხვა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბიუროს ორგანიზაციის მიზანია ადგილობრივ პროდუქტების გამოყენება ბაქოს ბაზრობაზე.

სასოფლო მეურნეობა

მევენახეობის და მეღვინეობის ცენტრალური კომიტეტი.

მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსდება მევენახეობის და მეღვინეობის ცენტრალური კომიტეტი. კომიტეტში თავმჯდომარეობს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ან მის მიერ დანიშნული სხვა პირი. კომიტეტის მუდმივ წევრებათ ითვლებიან: მიწათ-მოქმედების განყოფილების გამგე, აგრონომიული დახმარების ქვე-განყოფილების წარმომადგენელი, საცდელ ქვე-განყოფილების წარმომადგენელი, მეურნეობის ინსპექტორი, რომელსაც დავალებული აქვს მევენახეობის და მეღვინეობის საკითხები, მევენახეობის და მეღვინეობის ქვე-განყოფილების გამგე და მიწად-მოქმედების კომისარიატის მევენახეობის და მეღვინეობის სპეციალისტები, წარმომადგენელნი მიწა-ტყის პროფესიონალური კავშირისა, ექვსი პირი ცნობილნი თავიანთი მოღვაწეობით მეღვინეობის და მევენახეობის დარგში. შეძლების დაგვარად მეღვინეობის სხვა და სხვა რაიონებიდან მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის მოწვევით, მიწად-მოქმედების კომისარიატის იურისკონსულტი, სამი წარმომადგენელი კახეთის მეღვინეობის კოოპერატივისა, ორი წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოს კოოპერატივებისა, ერთი წარმომადგენელი ცეკავშირიდან, ერთი წარმომადგენელი წარმოკავშირიდან, თითო წარმომადგენელი ფინანსთა კომისარიატიდან, სააქციზო დაწესებულებებიდან, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან, უმაღლეს სამეურნეო საბჭოდან, რკინის გზათა სამმართველოდან, ჯანმრთელობის კომისარიატიდან და თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტიდან. იმ კრებებზე კი, რომლებზედაც განსახილველი იქნება საკითხები ცალკე რომელიმე მეღვინეობის რაიონისა, მოწვეულ იქნებიან სათანადო სამაზრო აგრონომიული ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

შენიშვნა: კომიტეტის სხდომები კანონიერათ იქნებიან ცნობილნი იმ შემთხვევაში, როდესაც კრებებს დაესწრება მისი შემადგენლობის არა ნაკლებ ნახევარისა.

კომიტეტი იხილავს იმ კითხვებს, რომლებიც შეეხებიან სხვა და სხვა ღონისძიებათა გაერთიანებას და მიმართულების მიცემას რესპუბლიკაში მევენახეობის და მეღვინეობის ასაღორძინებლად და განსავითარებბად, სახელდობრ: ა) შეთანხმება ადგილობრივი კომიტეტების მოქმედებისა, კომიტეტების, რომლებიც უნდა დაარსდენ მომავალში; ბ) მზრუნველობა მევენახეობისა და მეღვინეობისათვის. აპარატებისა, მანქანებისა, საწურავი მასალებისა და სხვა საჭირო საგნების შეძენაზე; გ) ხელმძღვანელობა ყოველივე მიწად-მოქმედების იმ დაწესებულებათა, რომელნიც ეხებიან მევენახეობა და მეღვინეობას, როგორიცაა საცდელი სადგურები, სანერგეები და სხვა; დ) დამუშავება ახალ კანონ-პროექტებისა. გეგმებისა და ინსტრუქციებისა მევენახეობის და მეღვინეობის შესახებ და ღვინის სიყალბის წინააღმდეგ გამოცემულ კანონების აღსრულებისა; ე) კითხვები, რომლებიც შეეხებიან ღვინის შემადგენლობას, ზედამხედველობას, დამზადებას, გადატან-გადმოტანას, მოვლას და დაზღვევას და იმ კითხვებს, რომელნიც უნდა გადაწყვეტილიყვნენ შეთანხმებით სხვა და სხვა დაწესებულებებთან ერთად, როგორიც არის ფრახტისა, სააქციზო გადასახადისა, სამოქალაქო გადასახადისა და სხვა ამ გვარისა.

გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კომიტეტისადმი გადაცემული იქნებიან განსახილველად მიწად-მოქმედების კომისარის მიერ, კომიტეტი იხილავს კითხვებს წამოყენებულებს როგორც თავმჯდომარის, აგრეთვე კომიტეტის წევრების მიერაც.

კომიტეტის საქმეები სწყდებიან ხმის უმეტესობით. ხმათა თანაბრობის დროს თავმჯდომარის ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. კომიტეტი იკრიბება საჭიროების დაგვარად, მხოლოდ წელიწადში ოთხჯერ მაინც.

კომიტეტის დადგენილებათა აღსრულების ზედამხედველობა და მათი ცხოვრებაში გატარება ევალება კომიტეტის პრეზიდიუმს ოთხი პირის შემადგენლობით (გარდა თავმჯდომარისა), რომელთაც ირჩევს კომიტეტი და რომელთაგან ერთს ევალება თავმჯდომარის მოადგილეობა.

კომიტეტის დადგენილებას აწხორციელებს სახალხო კომისარიატის მიწათ-მოქმედების განყოფილების მევენახეობის და მეღვინეობის ქვეგანყოფილება.

მევენახეობის და მეღვინეობის სამაზრო კომიტეტების პროექტის შემუშავება ევალება ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველო მოსკოვის გამოფენაზე

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მოსკოვის გამოფენაზე.

საქ. სახ. მეურნ. უმ. საბჭოს განყოფილებებში დიდი მუშაობა სწარმოებს მოსკოვის გამოფენაზე გასაგზავნ ექსპონატების დასამზადებლად. გამოფენის სპეციალური ხასიათის გამო, მაში მონაწილეობას მიიღებს სახ. მეურ. უმ. საბჭოს მხოლოდ ზოგიერთი განყოფილება, რომელიც ამზადებს სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელს მასალას და ფართო მოხმარების საგნებს. ამას გარდა გამოსაფენად გაიგზავნება ისეთი საგნები, რომელნიც ადგილობრივი წარმოების თავისებურობას ახასიათებენ.

მეტყეობა.

ს. მ. უ. საბჭოს განყოფილებათაგან განსაკუთრებით ფართეთ იქნება წარდგენილი საქართველოს მეტყეობა, რომელიც ჰგზავნის თავის ქარხნებში ნაწარმოებს დგამების, სადურგლო ხელობის ნიმუშებს. დიდი ყურადღება ექცევა ბოჭკარულ ნაწარმოების ექსპონატების გამოფენას: იგზავნება სხვა და სხვა ზომის მონაქლოვები (клепка) და ბოჭკები და ამათ შორის წიფლის სპეციალური ბოჭკები, რომელსაც ხმარობდენ ციმბირის ერბოსათვის. და საქართველოდან მნიშვნელოვანი ექსპორტის საგანი იყო რუსეთის საჭიროებისთვის, ამის გარდა იგზავნება ხეტყის სხვა და სხვა კავკასიური ჯიშები, ფანერისა და პარკეტის ნიმუშები. ექსპონატებს თან ახლავს ს. მ. უ. ს. სატყეო განყოფილების ხის დამმუშავებული წარმოებათა და ხეტყის დასამზადებელ რაიონების რუქები, ტყის დამზადების და წარმოების დიაგრამები, კატალოგები და ტყის განყოფილების მოქმედებათა მოკლე მიმოხილვა სატყეო მრეწველობის სფეროში.

სამთო განყოფილება.

სამთო განყოფილება ჰგზავნის გამოფენაზე ისეთ მადნეულობას, რომლის გამოყენება სასოფლო მეურნეობაში შესაძლებელია, აგრეთვე მინერალურ სალესავებს, საქართველოს მადნეულობის კოლექციას, რომელიც ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის სრულ დახასიათებას იძლევა. კოლექციას თან ახლავს მადნეულობის მდგომარეობის რუქა. საქართველოს სამთო მრეწველობა მოკლეთ გაშუქებულ იქნება სათანადო დიაგრამებით.

თამბაქოს ტრესტი.

თამბაქოს ტრესტი აწყობს გამოფენაზე ვიტრინებს სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს კოლლექციის გამოსაფენათ, რომელიც მის მიერ წარმოებაში იხსნება. აქვე იქნება გამოქვეყნებული სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის ყოველგვარი ხარისხის პაპიროსები. ექსპონატებს თან ახლავს თამბაქოს და პაპიროსების დამზადების და გასაღების სტერეოგრამები, თამბაქოს ტრესტის სავაჭრო განყოფიბათა კარტო-გრამები და კატალოგები.

ღვინის ტრესტი.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი გამოაფენს პურეულის და ღვინების სხვა და სხვა ხარისხის კონიაკსა სპირტს, არაყს და სადესერტო ღვინოებს. გარდა ამისა ამუშავებენ წარმოების დამახასიათებელ დიაგრამებს, კატალოგებს და სათანადო აღწერას. განზრახულია აგრეთვე ღვინის გაგზავნა გამოფენაზე გასასაღებლად. ტყავეულობის მთავარ წარმოებას გამოფენაზე გამოაქვს ტარსიკონის (сафьян) და ლანჩას ტყავი ჩულები (войлок), რომელთაც წინად რუსეთში დიდი გასავალი ჰქონდათ. ამ ნიმუშთან ერთად გაიგზავნება ტყავ. მთავარ. წარმოების მიერ დამზ. ტყავეულობიდან და ჩულებიდან დამზადებული ექსპონატები.

სხვა განყოფილებებს ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევიათ საბოლოოდ მონაწილეობის ხასიათი, მაგრამ ნაწილობრივ ისინიც მიიღებენ მონაწილეობას.

საერთოდ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ექსპონატები სრულ სურათს მოგვცემენ ს. მ. უ. საბჭოს მოქმედებისას სასოფლო-მეურნეობის სფეროში

კურორტების აღდგენა

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი ზარალი მოიტანა შარშან წყალდიდობამ ბორჯომში. როგორც ვიცით, წყალდიდობის მიზეზი იყო ტყეების გაჩეხა და განადგურება. როდესაც საკურორტო სამმართველომ ჩაიბარა 3 თებერვლის დეკრეტით აგარაკები, მან მიაქცია დიდი ყურადღება ბორჯომ-აბასთუმნის აგარაკებს და შეუდგა მთავრობის დახმარებით წყლიდან დაქცეულს და განადგურებულ კურორტების აღდგენას. მე მსურს მკითხველს გავაცნო, თუ რა გააკეთა საკურორტო სამმართველომ ამ მოკლე ხანში.

უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული იმაზე, რომ რაც შეიძლება ჩქარა აღედგინათ ეკატერინის მინერალური წყალი, შეემაგრებინათ მდინარე ბორჯომის ნაპირები ისეთი სისწრაფით, რომ გაზაფხულის წყალდიდობისათვის უკვე მომზადებული ვყოფილიყავით. ამ მიზნით მუშაობა სწარმოებდა წყლის კალაპოტში დღე და ღამე. ასეთმა ენერგიულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო გაზაფხულზე, როდესაც მდ. ბორჯომს უნდოდა თავის ზვირთებით მიენგრ-მოენგრია ბორჯომი, დაუხვდა წინ „ბუზოვლის დრედნოუტი“, გააპო მდინარე ორ ნაწილად დამხვარე კალაპოტის საშუალებით და ასე გადაარჩინა განადგურებას ბორჯომი. ამას გარდა ინჟ. ბუზოვლის საკმარისად შეუსწავლია მდ. ბორჯომის წყლის თვისებები, გადაუღია გეგმები და მოუწესრიგებია მისი კალაპოტი ისე, რომ რაც უნდა დიდი წყალდიდობა იქნეს, გარანტია გვაქვს, ბორჯომი უვნებელი დარჩება. წელს, როგორც მკითხველებმა იციან, დიდი წყალი მოაწვა ბორჯომს—მტკვრის მხრივ. აზვირთებულმა მტკვარმა დაიტაცა მორები, ახალციხიდან, მოაწვა ხიდს, რომელიც აერთებს ბორჯომის ორივე მხარეს მტკვართან, აუცილებლად მოგლეჯდა ხიდს, რომ ამ დროს იქ მყოფს სამეულის წევრს ამხ. ყამარაულს პარტიული ამხანაგების და მცხოვრებლების დახმარებით არ მიეღო სათანადო ზომები.

მშვენივრად არის გადიდებული პროსპექტი, რომელიც მიდის პარკში, აგრეთვე აღდგენილია რკინის გზის ლიანდაგი ჩამოსასხმელთან. სერგიევის სასახლეში გაკეთებულია ახალი კანალიზაცია, სამზარეულო; დამწვარ სასარეცხოს მაგივრად აგებულია ახალი და შემოკავებულია ეზო. ლივანის სასახლე მთლიანად შეკეთებულია. მიხაილოვის სასახლისთვის, რომელიც დარჩენილი იყო უწყლოდ, გაკეთებულია ახალი წყალსადენი, აგრეთვე შეკეთებულია შენობები. სასტუმრო „მინერალური წყალი“ მთლიანად შეკეთებულია. 10 ვერსის მანძილზედ ჰიდრო-ელექტრონულ სადგურისთვის საჭირო წყალსადენის დათვალიერების შემდეგ თვალწინ გადაგვეშალა შემდეგი სურათი: სათავეს მიმღები არხი შესდგება ხის ღარიდან, რომელიც დამაგრებულია მეტად სუსტად და მდებარეობს ვიწრო ხეობაში, სადაც წყლის ორივე მხარე შესდგება მერყევ ნიადაგისაგან; ხელოვნური ნაშენი საქმეს ვერ უშველის. მაგრამ წყალსადენისათვის უზრუნველსაყოფად სხვა და სხვა მოულოდნელ შემთხვევებში მონახულია ახალი გამოსავალი. შედგენილია გეგმა, რომლის სისრულეში მოყვანას დაახლოვებით სჭირდება 3.000 მან. ოქროთი.

ელექტრონის სადგურთან ბორჯომის წყლის ნაპირებზედ ამოყვანილია ქვის კედლები, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სადგურს წყალდიდობის დროს. რაც შეეხება იმ შენობების შეკეთებას, სადაც უნდა იცხოვრონ პასუხისმგებელ ამხანაგებმა და პერსონალმა, იგი თანდათან სწარმოებს იმის მიხედვით, როგორც კი შენობები თავისუფლდებიან კერძო მცხოვრებლებისაგან. კურზალი და ყველა შენობები შეკეთებული იქნება მოკლე ხანში. დიდი ყურადღება მიაქცია საკურორტო სამმართველომ მუშების ბინებს. მუშები სცხოვრობენ მეტად ანტი-სანიტარულ მდგომარეობაში. შემუშავებულია გეგმა და ამ ზაფხულს აუცილებლად იქნება მიღებული ზომები, რომ უმთავრესი დეფექტები თავიდან აცილებული იქნეს.

აბასთუმნის აგარაკების აღდგენის საკითხი უფრო მწვავეთ სდგას, ვიდრე ბორჯომისა. გზა ბორჯომიდან აბასთუმანში ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ისედაც, ხოლო 4 მაისის წყალდიდობამ 14 ვერსზედ მთლად გაანადგურა და მხოლოდ დიდ მუშაობის შემდეგ შეიძლება აღდგენილი იქნას.

ამ მიზეზით მასალის გაზიდვა ბორჯომიდან აბასთუმანში ძალიან გაძნელდა. მიუხედავად ამისა, სასწრაფოთ დაიწყეს მუშაობა, ყოფილი სამხედრო საავადმყოფოს და სახლების შეკეთება დამთავრდება ამ მოკლე ხანში. ყველა საჭირო მასალა საჩქაროდ იგზავნება ბორჯომიდან აბასთუმანში, თუმცა მასალის გაგზავნა არც ისე ადვილია, ნაწილი მასალის შეძენილია ახალციხეში. წაღვერში დაწყებულია ელექტრონულ სადგურის შეკეთება.

ახტალაში შეუდგნენ აგარაკების შენობების შეკეთებას. ბათომში აკეთებენ ახალ შენობებს საზაფხულო საბანაოდ და დამთავრებულია შეკეთება ვანების შენობებისა.

ყველა ეს აღმშენებლობა უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 10 ივნისისა.

გ. ბ.

საქართველოს აგარაკები

4. ბორჯომთან ახლო მდებარე აგარაკები.

1. ბაკურიანის რკინის გზა.

ბორჯომიდან იწყება ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის შტო, რომელიც თავის მხატვრულ მდებარეობით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ერთ საუკეთესო მომხიბლველ მთის რკინის გზათ არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში. იგი გველივით მიიკლაკნება მთების ფერდობებზე, რომელთაც მოსავენ ფიჭვები და ნაძვები, ახლო უვლის ისტორიულ ნანგრევებს და უძველესს მონასტრებს, საშუალო საუკუნის ციხე-კოშკებს და პირველყოფილი ადამიანების საცხოვრებელს,—ლომივით ხახა-გაღებულ ბნელ გამოქვაბულებს და მღვიმეებს გაიარს რა ამათ ახლო, გზა უკვე 38 ვერსზე ბორჯომიდან, სამი ათას ფუტის სიმაღლეზე მიექანება.

გარდა ამ გზისა ბორჯომს ბაკურიანთან აერთებს მშვენიერებით სავსე ახალქალაქის შოსსე, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა გზა, პირველხნობით ვორონცოვის ზეგანზე (პლატო) მიმავალი, ხოლო შემდეგ ეგრედ წოდებულ „კანავის“-ს გამსწვრივ იმ წყალსადენის ხაზზე, რომელიც აწვდის ბორჯომის ელექტრო-სადგურს დიდძალ ენერგიას და აგრეთვე 40 ათას ვედრო წყალს—ბორჯომის საწყალსადენო აუზებს ყოველდღიურად.

„კანავკა“, რომელიც სოფელ სადგერში იწყება, მიჰყვება მარჯვენა ნაპირს მდ. ბორჯომის ხევისას, რომლის კალაპოტიც რამდენად ზევით ვიწევთ, იმდენად უფრო ვიწრო, მაღალი და ციცაბო ხდება.

სოხაჩევის წყალსადენის სათვალყურო სახლს იქით, სადაც მდ. ბორჯომის-ხევი ნაწილს თავის წყლისას წყალსადენის მილებში უშვებს. ხეობა ისე ვიწროვდება, რომ იქცევა ღრმა და ციცაბ კანიონად, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „სიკვდილის ველს“ ეძახიან. ძალიან ძნელია ამ კანიონის გადალახვა და მდინარის სათავემდე მისვლა, განსაკუთრებით მაშინ, თუ წვიმა დაიწყო ზაფხულის თვეების დროს ეს პატარა მდინარე ანაზდათ და სწრაფად „სიკვდილის ველს“ მრისხანე და გაცოფებულ ნაკადად აქცევს, რომელიც ქაფმორეული დიდი ღრიალით მიექანება და დაუნდობლად ანადგურებს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება. ვაი მას, ვინც ამ დროს დახვდება მას კალაპოტში მიმავალი

ბაკურიანის რ. გ. შტო მიიმართება მშვენიერს, მხატვრულს, მთის ტყით შემოსილ ადგილებზე, რომელნიც თავისი ჰაერით,—ფიჭვნარ-ნაძვნარით და მყუდროებით უხვად იზიდავს ისეთ ხალხს, აგარაკების „სიმხიარულესა“ და დავიდარაბას რომ გაურბის მოსვენებისა და ჯანმრთელობისათვის.

წაღვერი.

3360 ფუტის სიმაღლეზე მთის მწვერვალებისა და ქედების გვირგვინზე გაშენებული სოფ. წაღვერი შემორტყმულია ტყეებით და თავის წიაღიდან უშვებს საუცხოვო რკინის წყაროებს. ამ სოფელს ზაფხულობით მრავალი ხალხი ეტანება და ამის გამო იგი უკვე ვეღარ იტევს უხვად მოსულ სტუმრებს, ამით აიხსნება, რომ ნაუცბადევათ შენდება „საგარაკო სახლები“ და ძველ წაღვერს უკვე ემატება. ე. წ. „ახალი წაღვერი“.

სამწუხაროდ, არა თუ ახლა, მშვიდობიანობის დროსაც—წაღვერი თავის პრიმიტიული მდგომარეობით მოწყობის მხრივ ვერ აკმაყოფილებდა მოაგარაკის ელემენტარულ მოთხოვნილებას: ბინებად ფარღალალა ხის შენობებია, სადაც ქარი თავისუფლად დათარეშობს; „საუკეთესო პანსიონი“, რომელიც წინად ყველაზე ძვირად ფასობდა, გაშენებულია ნაფოტებით მოფენილ მთის ბორცვზე, სადაც არ არის დაცული სავსებით სანიტარულ ჰიგიენური პირობები.

მიუხედავად ამისა, წაღვერი მუდამ ხალხით სავსეა. და ამ ზაფხულისათვისაც ყველა აგარაკები და სახლები საკურორტო სამმართველოს უკვე დარიგებული და განაწილებული აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა [illegible]ის ავადმყოფების გასაგზავნად. ცხოვრება ომამდე აქ არ იყო ძვირი და შედარებით ტფილისთან ახლაც ძვირი არ დაჯდება

ცემი.

მთის ფერდობზე გაშენებული ახალი წაღვერი მიიმართება ცემისაკენ, რომელიც მასზე მაღლა მდებარეობს 3655 ფუტ. ფიჭვნარიანი ტყე ცემის ჰაერს ბალზამივით მარგებელს და სინათლით მოსილს ჰქმნის მზის უხვი სხივები აქ მრავლად იზიდავს უმთავრესად სუსტ—გულმკერდიანს და ფილტვებ დაზიანებულ მოაგარაკეებს. ცემს იქით შუა-გულ ტყეში მზიან მინდორზე გაშენებული იყო ექიმ ლამბაშიძის საბავშვო სანატორიუმი. აუცილებლად საჭიროა მისი აღდგენა იმავე დანიშნულებით.

ბაკურიანი.

რკინის გზის უკანასკნელი პუნქტი არის ბაკურიანი, რომლის სახელით იწოდება თვით გზაც.

ბაკურიანი—ეს მთის მშვენიერი კლიმატიური სადგურია, რომელიც ზაფხულის სიცხიდან თავის დასაღწევ თავშესაფარს წარმოადგენს.

ამ აგარაკის მაღალი მდგომარეობის გამო ფილტვებ-დაზიანებულებისათვის იქ ყოფნა სამძიმოა, და ამ მიზეზით ასეთები აქ ცოტა არის. ბაკურიანში სტუმარი უმთავრესად დასვენებისა და ძალღონის შესაკრებად მიდის.

ბორჯომის მამულების ყოფილმა ადმინისტრაციამ მეფობის დროს ჩამოსჭრა ტყეს საკმაოდ დიდი მოედანი ბაღის მოსაწყობად, მშვენივრად შემოაკავა იგი და მოაწყო სხვადასხვა სათამაშო გასართობი დაწესებულება, სამკითხველო, სადაც უხვად მოიპოვება წიგნები, ააგო ლამაზი თეატრი წარმოდგენების დასადგმელად.

რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს და საშუალებათ, აქ ისეთივე როგორც სხვა ახლობელ აგარაკებში იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო ადვილია მსურველისთვის მუშა-მოსამსახურის შოვნა-დაქირავება.

ცხრა-წყარო.

ბაკურიანთან ახლო მდებარეობს ულელტეხილი ცხრა-წყარო, რომელიც მრავალ ექსკურსანტებსა და ბუნების მოყვარულს იზიდავს.

7620 ფუტის სიმაღლის ცხრა-წყაროს მწვერვალიდან სავსებით მოსჩანს კავკასიონის უზარმაზარი ქედი.

პროფკავშირებში

ცირკულიარულად.

ყველა პროფკავშირთა საბჭოებს, სამაზრო პროფბიუროებს, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს ს. პ. კ. ს. რწმუნებულებს.

იმის გამო რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო ეკონომიურ განყოფილებაში ხშირად შემოდის შეკითხვები შრომის ხელფასის გამოანგარიშების წესების შესახებ იმ მუშაკებისათვის, რომელნიც შვებულებაში მიდიან, ამით განვმარტავთ: შვებულების დროს მუშა-მოსამსახურეთათვის შრომის ხელფასის ასანაზღაურებლად, მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში გამომუშავებული ჯამაგირი საქონლის მანეთებში არსებულ წესებთან შეფარდებით ე. ი. შრომის ხელფასი უნდა მიეცეს შვებულების სამი თვის წინ არსებულ საშუალო ხელფასის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ იმ ხელფასისა, რომელიც მუშა მოსამსახურემ მიიღო შვებულების წინა თვეში. ხელფასის საქონლის მანეთებიდან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე გადაყვანა უნდა მოხდეს, სადაც კოლექტიურ ხელშეკრულებებით რაიმე განსაკუთრებული წესები არ არის დამყარებული, საქონლის მანეთის კურსის მიხედვით, რომელიც გამოცხადებული იქნება უახლოეს წინამორბედ დროში, ე. ი. თუ შვებულება ეძლევა 1 და 8 რიცხვს შუა, მანეთის კურსი აღებული უნდა იქნეს 1 რიცხვის, 8—15 შუა 8 რიცხვის კურსით, 15—22 15 რიცხვის კურსით და 22—31 მდგომარე თვის 22 რიცხვის კურსით; ამასთანავე შვებულების დაბრუნების შემდეგ არავითარ დამატებითი ხელფასის მიცემას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ს. პ. კ. ს. მდივანი
გ. ყურულაშვილი.
ს. პ. კ. ს. სატარ-ეკონ. განყ. გამგის მოადგილე **ს. კუტირევი.**
მდივნის მაგიერ **გ. ზუაძე.**

პოლიგრაფიულ ნაწარმოების კავშირში.

გამომცემლობა.

კავშირმა დაარსა 3 კაცისაგან შემდგარი საგამომცემლო კომისია, რომელშიც შევიდნენ: ამხ. ბერბერაშვილი, ნიკიტინი და ხარაზიანი. კომისიას დაევალა გამოსცეს თავისი საკუთარი ბეჭვდითი ორგანო.

კავშირი სამხედრო ნაწილებთან

პრეზიდიუმმა დაადგინა: იქონიოს კავშირი სამხედრო ნაწილებთან და გააცხოველოს მათ შორის კულტმუშაობა. 5 ივნისს კავშირმა მოაწყო სალამო ომში დასახიჩრებულთა-ინვალიდების სასარგებლოდ.

პროფტექნიკური კურსები.

განზრახულია კავშირთან დაარსდეს პროფტექნიკური კურსები მცირე მუშებისთვის. კურსების მიზანს შეადგენს დახელოვნებულ პროფმუშაკების მომზადებას.

მუშათა ექსკურსიები.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიმდინარე ზაფხულს მოეწყობა მუშათა ექსკურსიები. მუშათა გამგზავრებას სხვა და სხვა ადგილებში ექნება მეცნიერული ხასიათი.

სანიტგანათლება.

კულტურულ განმანათლებელ დარგის გასაფართოებლად კავშირმა განიზრახა სისტემატიურად მოაწყოს სანიტარულ განათლების შესახებ ლექციები და ამისთვის მოიწვიოს განსაკუთრებით ლექტორები.

ურთიერთდამხმარე კასა.

7 ივნისს მოხდა ურთიერთ დამხმარე კასის წევრთა საერთო თათბირი. თათბირმა მიიღო დებულება: საქონლის მანეთზე გადასვლის შესახებ და ინდივიდუალურ საწევრო გადასახადის შეღავათება. თათბირის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა—მუშებისათვის.

პლენუმის მოწვევა.

12 ივნისისთვის მოწვეული იქნება კავშირის გაფართოებული პლენუმი. გაირჩევა საკითხები: პროფტექნიკური კურსების შესახებ და მიმდინარე საქმეები.

დელეგატების არჩევნები.

სრ. საქართ. პროფკავშირთა მესამე ყრილობაზე დასასწრებლად დელეგატებად კავშირმა აირჩია: ამხ. ვანო ბოლქვაძე, ბერბერაშვილი და ნ. ნიკიტინი.

შორაპნის პროფბიუროში.

წერა-კითხვის უცოდინართა შესახებ.

პროფბიურომ წინადადება მისცა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს, რომ სათანადო თვალყური ადევნოს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმეს და ვინც სწავლას არ მოისურვებს ამის შესახებ უნდა ეცნობოს პროფბიუროს.

ბორჩალოს-პროფბიუროში.

პროფმოძრაობა.

ბორჩალოში პროფმუშაობა სასურველად მიმდინარეობს. პროფბიუროში ამ ჟამად ირიცხება 786 კაცი. მათ შორის ქალები 20 პროც. შეადგენს. უმუშევართა რაოდენობა სულ მცირეა.

მუშათა სასახლე.

პროფბიურომ განიზრახა დააარსოს მუშათა სასახლე და ამ მიზნისთვის გამოსძებნოს საჭირო შენობა.

აჭარისტანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა

(მაისის განმავლობაში).

დასრულდა ფაქტიური რევიზიები: ბათომის ნავთსადგურში, ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ტელეფონის ქსელის განყოფილებაში, ოლქის მილიციის სამმართველოში, აჭარისტანის სათბობ მასალის განყოფილებაში, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების № ცალკე სანაპირო ათასეულში და კომუნალურ მეურნეობის სავაჭრო განყოფილებაში. რევიზიამ ყველა დაწესებულებებში აღმოაჩინა მრავალი დეფექტები, რომლის აღსაკვეცად ინსპექციის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები.

წინასწარი რევიზიის წესით განსახილველად და დასამტკიცებლად შემოვიდა ხელშეკრულებანი: კომუნალურ მეურნეობისაგან 26, სახელმწიფო საამშენებლო მთავარ სამმართველოსაგან 3, კოოპერატიულ მაღაზიისაგან 4, სოციალ უზრუნველყ. კომისარიატისაგან 1, და ნავთსადგურისაგან —1, სულ—35 ხელშეკრულება. მაღაზიების და ნაკვეთი მიწების იჯარით მიცემის, ახალციხის გზატკეცილზე ხიდების შეკეთების და ხის მასალების შეძენის შესახებ, ყველა ხელშეკრულებები განხილული და დამტკიცებული იქნა.

რევიზიის წესით განხილული და დამტკიცებულია 5 სხვა და სხვა ხასიათის ანგარიშები, შემოსული შემდეგ დაწესებულებებიდან: სარაიონო საევაკუაციო პუნქტისაგან 24,227,000 მან.; სათბობ მასალების განყოფილებისაგან 191,821,000 მან. ორივე დამტკიცებულია უცვლელად; სასურსათო კომისარიატისაგან 423,945,000 მან.; განათლების კომისარიატს და მთავარ პოლიტგანათლების განყოფილებას დაუბრუნდა ანგარიშები დაუმტკიცებლად, ვინაიდან ანგარიშები არ იყო სწორედ შედგენილი და აკლდა საბუთები.

საერთო კანცელარიაში მიღებულია შესასრულებლად 393 საქმე და გასულია 210.

მაისის თვეში შემოვიდა 21 საჩივარი, 1-ლ მაისისთვის დარჩენილი იყო წარმოებაში 16, სულ 37 საჩივარი, მათ რიცხვში დასრულდა 24 საჩივარი, დარჩა წარმოებაში 1-ლ ივნისისათვის 13 საჩივარი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **შემოსავალი აბანოებისაგან.** ამჟამად მუშაობს ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში მყოფი 9 აბანო, მაისის განმავლობაში ხსენებულ აბანოებით უსარგებლიათ — 84,460 სულს—შემოსავალი უდრის 10,428,450000 მ., გასავალი—7,938,805,000 მან. სწარმოებს შეკეთება № 9 აბანოსი და შენდება ერთი ახალი აბანო.

— **ქვაფენილები ქუჩებზე.** ალმასკომმა ხელშეკრულება დასდო სახ. აღმშენებლობის კომიტეტთან, ქალაქის ქუჩებზე ახალი ქვაფენილების დაგების შესახებ. მუშაობა დაიწყება 1 ივლისიდან.

— **სახლების სახურავი მასალის შეძენა.** აღმასკომის საამშენებლო განყოფილებამ შეიძინა სახლების სახურავი რკინეულობა, რომლითაც დახურული იქნება ქალაქის სახლები, სკოლები და სხვა დაწესებულებანი.

განათლების კომისარიატში

— **სასწავლებლების გახსნა.** უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში სოფ. ოკონის თემში (გორის მაზრა) გაიხსნა 7 დაწყებითი სასწავლებელი. მიღებულია ზომები მომავალ სასწავლო წლისათვის სკოლების გასახსნელათ დანარჩენ თემებშიც.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **ტუბერკულიოზის სამდლეულისათვის შემოწირულება.** ზუგდიდის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ შეკრიბა ტუბსამდლეულისთვის შემოწირულება 230,230,000 მანეთი.

— **საეპიდემიო ბარაკების მოწყობა.** სიღნაღის და ახალციხის საეპიდემიო ბარაკების მოსაწყობათ გადაიგზავნა სიღნაღისთვის 292 მილიონი მანეთი და ახალციხისთვის 100 მილიონი მან.

— **პარტახტიან სახადთან ბრძოლა ფოთში.** პარტახტიან სახადთან საბრძოლველად ფოთის ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეგზავნა 200 მილიონი მანეთი.

— **აბანოების მოსაწყობი მასალის დამზადება.** ხონში, სამტრედიაში, საჩხერეში, ცხინვალში, თელავში და ლუქსემბურგში აბანოების მოსაწყობად დამზადებულია მასალა. ამ დღეებში ჯანსმკომის საამშენებლო კომისია შეუდგა მუშაობას ადგილებზე.

გამომცემლობა.

— **მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელო.** გამოვიდა ვ. ივანოვის შრომა „მეაბრეშუმეობისათვის“. წიგნში მოთავსებულია რამდენიმე სურათი და საინტერესო მასალა მეაბრეშუმეობის მრეწველობის შესახებ.

რკინის გზაზე.

— **ახალი ორთქლმავლები.** ა.-კ. რკინის გზათა სამმართველომ რუსეთიდან მიიღო დაზიანებული რამოდენიმე დიდძალიანი ორთქლმავლები, რომლებიც უკვე გაშვებულ იქნენ სამუშაოთ.

— **ზემო-ავჭალის ელექტრონის სადგურისათვის.** ა.-კ. რკ. გზათა სამმართველომ საიჯარო ხელშეკრულებით გადასცა ზემო-ავჭალის ელექტრონის სადგურის აღმშენებელ კომიტეტს საჭირო სხვა და სხვა მასალების გადასაზიდი ვაგონები და სხვა ხელსაწყოები.

შრომის ბირჟაში.

— უმუშევრები: 6 მაისს გამოცხადდა აღრიცხვაზე 526 ჩაეწერა ახალი უმუშევრები ამავე დღეს—135, გაიგზავნა სამუშაოზე—45.

შემთხვევები.

გაქურდვა.

— გრიბოედოვის ქ. № 3. გაქურდეს მოქალაქე ქულავა.

— ნიკოლოზის ქ № 24. ქურდებმა მოჰპარეს მარიამ გორაშკოვის ასულს 130 მილიონ მანეთის საოჯახო ნივთები.

— გრიბოედოვის ქ. № 32. გაძარცვეს მოქალაქე გულავას ბინა.

— ცაგარელის ქ. № 4. ბოროტმოქ. გაქურდეს მოქ. ნიკიფორე სოხაძე.

თავის დაჭრა.

— დესიმონოვის ქ. № 7, თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერით თავი დაიჭრა ნიკოლოზ ივანეს ძე კობეტომა, რომელიც მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში.

დაჭრა.

— მე-13 სამილიციო რაიონის მილიციელმა მამლიევმა, ვინტოვკით დასჭრა მოქ. აბრამ ჯიუნაშვილი, რომელიც სასწრაფო ეტლით გადაიგზავნა სამკურნალოში.

— სემიონოვის ქ. უცნობმა პირებმა დანით დასჭრეს გილამ სარქისის ძე ოგანეზოვი, რომელიც გადაიგზავნა მთავარ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

მკვლელობა.

— მე-5 სამილიციო რაიონში შარაშიძის ბაღში ამბროსი დეკანოზიშვილმა ვინტოვკის ტყვიით მოკლა ვიღაც მოქალაქე, რომლის ვინაობა გამოურკვეველია მკვლელი შეპყრობილია.

გარბიან მენშევიკურ პარტიიდან

(წერილი ფოთიდან).

2 ივნისს ქალაქ ფოთის ნავთსადგურში შესდგა საერთო კრება გადამტვირთველ კავშირის მუშებისა, რომელსაც დაესწრო ოთხას კაცამდე. დღის წესრიგში სხვათა შორის იდგა საკითხი მენშევიკური პარტიის გახრწნის შესახებ.

პარტკომის მდივანმა მოკლედ გააცნო კრებას მენშევიკური პარტიის ისტორია „მენშევიკები გაიძახიან, რომ მათი პარტიის წევრებს ჩეკა ძალდატანებით აწერინებს ხელს პარტიიდან გასვლაზეო, მაგრამეს არ არის მართალი. გარბიან მათ პარტიიდან ძველი მუშები, რომლებსაც აქვთ 20—25 წ. სტაჟი, რომლებსაც გამოუცდიათ ციხე—კატორღა და არ შეშინებიათ და ნუ თუ ეხლა შეშინდენ? არა—ისინი სრული შეგნებით სტოვებენ მენშევიკურ რიგებს. ფოთში კარგად ცნობილი მენშევიკი სიმონ გოგიბერიძე, რომელიც 25 წელზე მეტია მუშაობს ამ პარტიაში, სტოვებს მას. ის არც ჩეკაში მჯდარა და არც არავისთან სამსახურში ყოფილა, რომ შეშინებოდა სამსახურის დაკარგვის. არა—ის თვით კრიტიკით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მენშევიკები ღალატობენ მუშათა კლასს“

შემდეგ სიტყვას ამბობს **სიმონ გოგიბერიძე**, რომელიც აღნიშნავს, რომ ის 25 წელზე მეტს მუშაობს მენშევიკურ პარტიაში, გამოუვლია ციხე, კატორღა და თუ ეხლა სტოვებს ამ პარტიას, არა ძალდატანებით, არამედ სრული შეგნებით. „მე ოცდა ხუთ წელიწადს ვიბრძოდი [illegible] დროშის ქვეშ და — ეხლა [illegible] დროშით ვერ ვიბრძოლებ მის წინააღმდეგ. გამოვდივარ რა ამ პარტიიდან სრულ შეგნებით ვრჩები უპარტიოთ და მიუწოდებ ყველას დასტოვონ მენშევიკების რიგები. მირჩევნია კომუნისტებთან სიკვდილი, რომლებიც მართლაც იცავენ მუშათა კლასის ინტერესებს, ვიდრე წვრილ ბურჟუაზიასთან ცხოვრება“. შემდეგ გამოდიან მუშები **ილარიონ მახარაძე** (პარტიის წევრი 1903 წ.) **სამსონ მამალაძე** (1903 წ.), **შამუგია პავლე** (1917 წ.) რომლებიც, როგორც მუშები, ზიზღით იხსენიებენ მენშევიკების მოქმედებებს და ფიცსა სდებენ, რომ წავლენ იმ სწორ გზით, რომლებზედაც კომუნისტები მიუთითებენო.

დაბოლოს გამოდის უპარტიო **მუშა ბერაძე** და ამბობს—მერ არას დროს არ ვყოფილვარ მენშევიკურ პარტიაში, მხოლოდ ერთი თუ ორი კვირის განმავლობაში გვარდიაში ვმსახურებდი. ეხლა არ ვიცი რით გავასწორო ის დანაშაულება, რომელიც მე ჩავიდინე იმით, რომ ვიყავი ისეთ ჯარში, რომელიც მუშათა კლასის წინააღმდეგ მიდიოდა.

მუშები დიდი აღტაცებით ხვდებიან თითეულ მუშის განცხადებას. მენშევიკური პარტია სამუდამოდ გაიხრწნა და მის საფლავზე ყოფილი წევრები ტირილის მაგიერ ზეიმობენ.

პ. მეგრელიშვილი.

ხელოვნება

ქართული დრამის 1922-23 წლის სეზონი.

ქართული დრამის სეზონის გახსნას თავიდანვე თან დაჰყვა ერთი უბედურება. საზოგადოება არ აფასებდა მსახიობების და რეჟისორთა მუშაობას და თეატრი თითქმის ცარიელი იყო ყოველ წარმოდგენაზე.

საქმე გამწვავდა. თეატრი დიდ დეფიციტს ღებულობდა და ცარიელი დარბაზიც ენერგიას და მუშაობის ხალისს უდუნებდა მსახიობებს. საქმე სეზონის დახურვამდი მივიდა... მაგრამ აქ გამოჩნდა ქართული დრამის მხსნელი კოტე მარჯანიშვილი და თეატრმაც სასიცოცხლოთ პირი იბრუნა. საკმარისი იყო „ცხვრის წყაროს“ დადგმა, რომ საზოგადოება ქართულ თეატრზე ალაპარაკებულიყო. მარჯანიშვილის სახელმა აქ უეჭველად გადამწყვეტი როლი ითამაშა.

იმ ძალებით, რომელიც ქართული აკადემიური დრამის განკარგულებაში იყო. მარჯანიშვილმა შესძლო მთლიანი ანსამბლის შექმნა.

კ. მარჯანიშვილის ერთი დამსახურება იმაშიც გამოიხატება, რომ მან დაანახვა საზოგადოებას იმ ახალგაზრდა მსახიობების ნიჭი, რომელნიც აკადემიური დასის უმრავლესობას შეადგენენ.

„ცხვრის წყარო“ სწორედ ამ ახალგაზრდა მსახიობების გამარჯვება იყო. ძვირათ ყოფილა ქართულ სცენაზე ისეთი მთლიანი და მხატვრული წარმოდგენა, როგორც ეს „ცხვრის წყარო“ იყო ამ წარმოდგენამ გამოაღვიძა მძინარე საზოგადოება და მსახიობებსაც თავისი თავის იმედი ჩაუნერგა გულს.

მარჯანიშვილის მეორე გამარჯვება რუსთაველის თეატრის სცენაზე ეს იყო „მზის დაბნელება საქართველოში“.

სცენაზე გაცოცხლებულმა ძველმა თბილისმა და პიესის უაღრესად მხატვრულათ გათამაშებამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა საზოგადოება და მსახიობები და აქედან უკვე ქართულ თეატრს აღარ მოკლებია მაყურებლები.

სეზონის განმავლობაში იყო ახალი პიესების დადგმის და ძველების (როგორც ორიგინალურის, ისე თარგმნილის) განახლების ცდები.

კ. მარჯანიშვილმა იკისრა გრ. რობაქიძის „ლონდას“ დადგმა. უნდა ითქვას, რომ პიესა ვერ იყო შესაფერად დადგმული: პიესაში უმთავრესი ყურადღება მასიურ სცენებს აქვს მიქცეული, დადგმაში კი ეს ადგილი არ იყო ხაზგასმული, უკანასკნელ დადგმაში ეს შეცდომა გასწორებული იყო და პიესა უფრო მთლიანი გამოვიდა.

კ. მარჯანიშვილმა დრამატიულ პიესებთან ერთად სცადა კომიკურის დადგმაც, მისი ხელმძღვანელობით დადგმულ იქნა ოპერეტკა „მასკოტ“, დადგმის მხრივ პიესა უეჭველად მოსაწონია, მხოლოდ დიდი გაბედაობა იყო მარჯანიშვილის მხრივ იმ ძალების საშუალებით, რომელიც ქართულ დრამას ჰყავს, ოპერეტკის დადგმა: ქართველ მსახიობებს მეტ წილათ არა აქვთ სიმღერისათვის გამოსადეგი ხმა და ამ მხრივ „მასკოტ“-ი უეჭველად სუსტი იყო.

მარჯანიშვილის შემდეგ ალ. ახმეტელმაც სცადა ახალი დადგმები. მისი რეჟისორობით იყო დადგმული უაილდის „სალომე“. არც დადგმა და არც, მით უმეტეს, პიესის განსახიერება დამაკმაყოფილებელი არ იყო. მისივე მიზანსცენებით იყო განახლებული ალ. შანშიაშვილის „ბერ-

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშათა კლუბები

რა არის კლუბი, ან და რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს იგი? ჩვენ გვახსოვს ძველ წესწყობილების დროის ბურჟუაზიული კლუბები და ვიცით თუ რა მიზანს ემსახურებოდნენ ისინი. როდესაც ბურჟუებს შინ ჯდომა მოეწყინებოდათ, ისინი გამოეწყობოდნენ ხოლმე ფრაკებში და ეტლით რომელიმე „შანტანიურ“ კლუბს მიადგებოდნენ და იქ ლოთობასთან ერთად გარყვნილებაში ატარებდნენ დროს. თქვენ იქ, სცენაზე, დაინახავდით რომელიმე მოცეკვავე „შანსონეტკა“-ს ან, მომღერალს, რომელნიც მსმენელ „ვაჟბატონებს“, ან „ქალბატონებს“ მხოლოდ გარყვნილ სიყვარულს უნერგავდნენ გულში. რასაკვირველია, იმ წრეში მუშებს ადგილი არ ჰქონდათ და არც იყო ეს მათთვის საჭირო, დღეს კი ვხედავთ სულ სხვა სურათს. ჩვენი მუშათა კლუბები ემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ სწავლა-განათლებას და ხელოვნებას; ავილოთ მაგილითად პლეხანოვის სახელობის მუშათა ცენტრალური კლუბი. აქ მოწყობილია სამკითხველო, მუშათა სადალაქო და ყოველგვარი სამეცნიერო კულტურული კურსები; აქავე იდგმება კლასიკური და რევოლიუციონური პიესები, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მუშებზე და ხელს უწყობს მათი გონებრივ განვითარებას, აქ სრულიად არ იდგმება მუშათა გამრყვნელი ოპერეტული პიესები; რაც შეეხება ლოთობას, მას კლუბში ადგილი არა აქვს. აქ მხოლოდ ქართული წარმოდგენები ჯერ-ჯერობით ვერა სდგას თავის დონეზე, მაგრამ იმედია, რომ საზაფხულო სეზონში დაიდგმება რეგულიარულად ქართული პიესებიც.

ამგვარივე კულტურული მუშაობა სწარმოებს სხვა კლუბებში. მუშებმა კლუბები მეცნიერების ხელოვნების ტაძრად გადააქციეს.

მუშა—გ მ.-შვილი.

დროა მოგვექცეს ყურადღება.

საქ. რკ. გზის „ცენტრამოტის“ 1-ლი რაიონის მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. ისინი არ ითვლებიან არც სამოქალაქო დარგის მუშათა რიცხვში და არც ნამდვილი რკინისგზელ მუშებს ეკუთვნიან. შრომის ხელფასი მათ აქვთ ძალიან მცირე, რკინისგზელთა უფლებებით ისინი ვერ სარგებლობენ ბ სხვა. უწინ, სანამ „ცენტროტრამოტა“ აილებდა ამ დარგის სამუშევარს, ალნიშნულ სამუშაოს განაგებდა „მშრომელთა კომუნა“. და თუმცა მაშინაც არ იყვნენ სავსებით კმაყოფილნი ჩვენი მუშები, მაგრამ, როგორც იყო, ასე თუ ისე თავის მდგომარეობას ურიგდებოდენ. დღეს კი „ცენტროტრამოტ“-ში გადასვლის შემდეგ ამ დარგის მუშები ჩავარდენ აუტანელ მდგომარეობაში. აქ დაწესებულია ხელფასის უმცირესი კატეგორია სულ მცირე ჯამაგირებით. ამ დარგის მუშები არტელ „კომუნა“-ს დროს ღებულობდნენ ოცდა ათიდან—ორმოც მანეთამდე საქონლის მანეთს თვეში; და ეს მაინც ვერ აკმაყოფილებდა მუშების ოჯახურ მოთხოვნილებებს, და დღეს კი მაგ. მუშებს ეძლევა ცენტროტრამოტისაგან მხოლოდ და მხოლოდ ცხრა მანეთიდან ცამეტ მანეთამდე საქონლის მანეთით, რომელიც ბინის განათების და სხვა გადასახადებს სჭირდება და მუშები კი რჩებიან სრულიად უსახსროდ. აქ უნდა ავლნიშნო ისიც, რომ ჯამაგირები ეძლევათ მუშებს დაგვიანებით, მასთან ჯამაგირებს მუშები ღებულობენ არა ახალი კურსით, არამედ გასული ძველი კურსით. ის მუშები კი, რომელნიც იმყოფებიან რკ. გზის სადგურებში—ბათომიდან—სამტრედიამდე, მოკლებული არიან დამზღვევ კასას და საექიმო დახმარებას, რადგან მათ არ აქვთ საშვალება ისარგებლონ უფასო სამგზავრო ბილეთებით. ამისთვის ჩვენ ვსთხოვთ ყველა უმაღლეს საბჭოთა დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ მიზნად მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა მეტი გაგვიწიონ სათანადო დახმარება და გამოიყვანონ აუტანელ გაჭირვებიდან ათას ორასზე მტვირთავი მუშები. მასთან მოვითხოვთ ტრამოტის მიერ რკინის გზის სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების გადასინჯვას მუშების ხელფასის ნორმალურად გადიდებას და რკინისგზელთა უფლების მათთვის მინიჭებას.

მუშკორი ა. პატარაია

ლითონის ქარხანა № 1.

ქარხანა ეკუთვნის უმაღ. სამ. საბჭოს, რომელმაც ამ ჟამად საჭიროდ სცნო ქარხნის დროებით დაკეტვა. ქარხანა ძველია და სამ. საბჭოს განზრახული აქვს მისი შეკეთება.

უკანასკნელ ხანებში აქ მუშაობდა 30 მუშა. ესენი ქარხნის წარმოების შეწყვეტიდან გადაყვანილი იქნებიან უმაღლეს სამ. საბჭოს სხვა მსგავს ქარხნებში.

რამოდენიმე ხნის წინად ამ ქარხანაში მუშაობდა 110 კაცამდე, მაგრამ თანდათანობით შტატების შემცირების შემდეგ მოსამსახურეთა რიცხვი დავიდა 30 კაცამდე.

მუშებსა და წარმოების ადმინისტრაციას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულების ზოგი პირობა სამწუხაროდ არ არის შესრულებული ადმინისტრაციის მხრით: 1) მუშებს, რომელნიც არიან დარჩენილი სამუშაოზე, არ აქვთ მიღებული „სპეცტანთსაცმელი“ და 2) ადმინისტრაცია მუდამ აგვიანებდა მუშებისათვის დროზე ჯამაგირების დარიგებას. თანახმად კოლექტიური ხელშეკრულებისა კი მუშებს ჯამაგირების მიღების დაგვიანების შემთხვევებში უნდა მისცემოდათ ხელფასი იმ დროის კურსის მიხედვით, რა დროშიაც იქნებოდა, დარიგებული დაგვიანებული ხელფასი მიუხედავად ამისა, ეს პირობა ყოველთვის გაუმართლებელი რჩებოდა.

ქარხნის მუშების იმ დიდ რაოდენობას, რომელნიც შტატის შემცირების გამო დათხოვნილ იქნენ, ადმინისტრაციამ „სპეცტანთსაცმელის“ ნაცვლად მისცა ფეხსაცმელები.

ალნიშნული დეფექტები და კოლექტიურ ხელშეკრულების ნაწილობრივ, განუხორციელებლობა, ჩვენის აზრით, გამოწვეულია წარმოების მოუგვარებლობით, რასაც უნდა გაეწიოს ანგარიში მუშების მხრივ, მაგრამ მუშებისათვის ზემო ალნიშნული „ტანთსაცმელები“ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და მისი მიცემა აწი მაინც არ უნდა დაგვიანდეს.

მუშკორი ჩხმელი.

მუშათა ქრონიკა.

— **წმენდა ქართულ მუშფაკზე.** მიმდინარე სამოსწავლო წელს ქართულ მუშფაკზე მოხდა აკადემიური და სოციალური წმენდა. აკადემ. წმენდას მოყვა 34 მსმენელის დათხოვნა. სოციალური თვალსაზრისით დათხოვნილ იქნა 48 კაცი. ამ ჟამად მუშფაკში ირიცხება 279 მსმენელი.

— **საბავშვო თეატრი ცენტრ. მუშათა კლუბში.** გაზაფხულისთვის ცენტრ. მუშათა კლუბში ეწყობა საბავშვო თეატრი და სავარჯიშო მოედანი. საბავშვო სახლებში მყოფ ბავშვებს მომზადებული აქვთ მთელი რიგი საბავშვო პიესებისა, რომლებიც დაიდგმება საბავშვო თეატრში.

— **უმუშევარნი აგარაკზე.** პროფსაბჭოს დადგენილებით მიმდინარე ზაფხულის აგარაკებზე მორიგეობით გაიგზავნებიან უმუშევარი მუშებიც.

შრომის ექსპლოატატორები.

შრომის ინსპექციამ პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭრები:

პელიძე პავლე და დიმიტრი კაციტაძე, პურის საცხობის პატრონები (19 თებერ. ქუჩა) იმის გამო, რომ აქ მუშები დაზღვეულნი არ იყვნენ, მუშაობას იწყებდენ დაწესებულ დროზე ადრე; მათ არ ჰქონიათ საანგარიშო წიგნაკები.

— **მერაბოვი ამაიაკი**, სამჭედლოს პატრონი (სამანის შესახვევი № 3), რომელიც არ იკავდა მცირე წლოვან ხაჩატუროვის მიმართ 4 საათის სამუშაო დროს. ბავშვი არც დაზღვეული ყოფილა და მას არც საანგარიშო წიგნაკი აღმოაჩნდა.

— **ხელაშვილი მოსე**, ღვინის საწყობის პატრონი (ნიკოლოზის ქუჩა № 14) იმის გამო, რომ მოზარდს ბახუტაშვილს ნაცვლად 4 საათისა ამუშავებდა 8 საათს და ხელფასს აძლევდა მას მინიმუმზე ნაკლებს. ის არც ჰყოლია დაზღვეული და მისთვის არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონია.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს მაისის თვეში.

მიმდინარე წლ. მაისის თვეში მიჰმართა ს. პ. კ. ს. იურიდიულ ბიუროს დახმარებისათვის 741 მუშა-მოსამსახურემ, შემდეგ საკითხებზე: საბინაო—238, საკონფლიქტო—19, შრომის ბირჟის რეგისტრაციისა—11, საადგილ მამულო—12, საოჯახო უფლებებისა—30, ქონებრივისა—107, სისხლის სამართლისა—78, დასახიჩრების—15, სამართალში მიცემულთა ჯამაგირისა—10, სალიკვიდაციო და სხვა ჯილდოს მიღების შესახებ—54, თანამდებობაში აღდგენის შესახებ—15, სამსახურიდან დათხოვნისა—27, სოციალურ დახმარებისა—517, და სხვა საკითხებისა—99, სასამართლოებში ბიურო გამოვიდა დასაცველად—32 საქმისა, რომელ რიცხვიდანაც მოგებულია—18 საქმე, გადადებულია 13 და უშედეგოდ დარჩა 1 საქმე.

ეს 741 მუშა-მოსამსახურე იყვნენ წევრები შემდეგი კავშირების: საბჭოთა მოსამსახურეების—183, განათლების—40, საქ. სანიტარო დარგში მომუშავე 57, ხელოვნების მუშაკ—67, გემო-კვებისა—17, ალმშენებლობის—26, კომუნალურ მეურნეობის—25, მკერავთა—32, სახალხო კვებისა—44, მელითონეთა—19, მიწა-წყლის—17, მქსოველთა—11. სამთო-მადნის—7, ადგილ. ტრანსპ. მომუშ.—22, მბეჭდავთა—21, სახალხო კავშირის—19, ხეზე მომუშავეთა—10, მეტყავეთა—28, ქიმიკოსების—24, ინვალიდების—8, თვით კავშირების და მათ ორგანიზაციების 64. აგრეთვე ბიურო აწვდიდა მუშა-მოსამსახურეებს საჭირო ცნობებს სხვა და სხვა გაზეთების საშუალებით.

ს. პ. კ ს. იურიდიული ბიურო.

დო-ზმანია“. პიესის დადგმა ლამაზი და მხატვრული იყო. პიესა დადგმული იყო ახალი გაგებით ნახევარ ტონებში და მან უეჭველად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

სხვა რეჟისორებმაც სცადეს რეპერტუარის განახლება.

ჩვენ ალვნიშნავთ მ კორელის მიერ „მაკბეტი“-ს (ალ. იმედაშვილის ბენეფისი) და აკ. ფალავას მიერ „ჰამლეტის“ დადგმას (გ. დავითაშვილის ბენეფისი).

უნდა ითქვას, რომ, როგორც თავის დროზე ალნიშნულიც იყო, „მაკბეტი“ სუსტი გამოდგა ქართულ სცენაზე: მისი დადგმაც და განსახიერებაც მეტად მოიკოჭლებდა.

მეტი შთაბეჭდილება მოახდინა აკ. ფალავას მიერ დადგმულმა „ჰამლეტმა“. რა თქმა უნდა, დადგმას ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ საერთოდ პიესა მოფიქრებულად იყო დადგმული და მან მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოქ. ფალავა უფრო გაანვითარებს და დეტალურად დაამუშავებს პიესის ტეხნიკურ მხარეს და შეძლებას მისცემს საზოგადოებას იხილოს სცენაზე უკვდავ ტრაღიკოსის დიდებულ ნაწარმოების უფრო დამთავრებული განსახიერება.

შევეხოთ მსახიობთა მოღვაწეობას გასული სეზონის განმავლობაში.

სეზონის უკანასკნელი წარმოდგენები დათმობილი ჰქონდათ მსახიობებს საბენეფისოდ. ბენეფისი მსახიობის დღესასწაულია და სწორედ აქ შეიძლება მსახიობის ნიჭის დაფასებაც. სამწუხაროდ ბენეფისებმა ისეთი ეპიდემიური ხასიათი მიიღეს, რომ ძნელი იყო გარჩევა, ჩვენ ნამდვილ ხელოვნებასთან გვქონდა საქმე თუ ამ ხელოვნების აბუჩად აგდებასთან. ბენეფისები ისეთი კინემატოგრაფიული სისწრაფით მიმდინარეობდა, რომ მსახიობები ვერ ასწრებდენ როლების მომზადებას და ამიტომ პიესებიც უფერულად მიდიოდა. უმთავრესი ნაკლი ბენეფისებისა იყო კიდევ ის, რომ საბენეფისო წარმოდგენები თითქმის ურეჟისოროდ იდგმებოდა. მომავალ სეზონში ამას უეჭველად ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური თეატრის ადმინისტრაციის მიერ.

ალ. იმედაშვილმა სცადა მაკბეტის განსახიერება ქართულ სცენაზე. მსახიობს უეჭველად ჰქონდა კარგი მომენტები, მაგრამ მხოლოდ მომენტები საერთოდ როლი დაუძლეველი და დაუმუშავებელი დარჩა. მსახიობს დიდი შრომა დასჭირდება როლის შესაფერად დამუშავებისათვის და მომავალ სეზონში მას, ალბად, უფრო გამარჯვებულს ვნახავთ.

გ. დავითაშვილის „ჰამლეტი“ უეჭველად დიდი მიღწევაა ქართულ სცენაზე: ლადო მესხიშვილის შემდეგ ჰამლეტი სდუმდა ქართულ სცენაზე და გ. დავითაშვილმა შესძლო მისი ამეტყველება. მსახიობი სწორად უდგება როლს და ეს არის მისი გამარჯვების საწინდარი. შეიძლება მსახიობის თამაშს ჰქონდა რაიმე ნაკლი, მაგრამ ეს მისი პირველი გამოსვლით აიხსნება ამ როლში. შემდეგში მსახიობი შესძლებს ამ ნაკლის გასწორებას.

პლ. კორიშელმა იმერეთი გააცოცხლა სცენაზე თავისი ბენეფისის დღეს. მისი ნესტორი უეჭველად ტიპიური იყო და ის საუკეთესო ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ამ როლის. ზევით მე ვსთქვი, რომ ახალგაზრდა მსახიობებმა „ცხვრის წყაროში“. გაიმარჯვეს მეთქი. აკ. ვასაძე, მიხ. ლორთქიფანიძე, შ. ღამბაშიძე, უშ. ჩხეიძე და თ. ჭავჭავაძე უკეთეს პიესას ვერ იპოვიდენ თავის საბენეფისოდ. იგივე პიესა გაიმეორა დ. ჩხეიძემაც თავისი საღამოსათვის. სამწუხაროდ ეს „ცხვრის წყარო“ არ იყო ძველი „ცხვრის წყარო“. პიესა მეტად უფერულად ჩატარდა. კარგი იყო თვით მობენეფისე კომანდორის როლში.

დანარჩენ მსახიობებს (ალ. ჟორჟოლიანი, ვ. არაბიძე, ნ. გოცირიძე, ვ. გამყრელიძე და სხვ.) თავის ამპლუა აქვთ, სადაც ისინი შეუდარებელი არიან.

ქალთა პერსონაჟებიდან ალსანიშნავი არიან ნ. დავითაშვილი, ნ. ჩხეიძე, ტ. აბაშიძე, ალ. ქიქოძე, ელ. დონაური, ბ. გამრეკელი, ც. ამირაჯიბი თ. ჭავჭავაძე და სხვ., რომელნიც ღირსეულად ეწეოდენ თავის უღელს და ბევრი მხატვრული ტიპები შექმნეს მათ გასული სეზონის განმავლობაში.

რაც შეეხება სეზონის ჩვეულებრივ წარმოდგენებს, უნდა ითქვას, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევებში, უფრო მომზადებული და დამუშავებული იყო, ვიდრე საბენეფისო წარმოდგენები.

გასული სეზონის განმავლობაში იყო გ. იორდანიშვილის იუბილეც.

მართალია აკადემიურ თეატრს გასული სეზონის განმავლობაში ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ მას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო. ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული რეპერტუარის შერჩევას და მსახიობებიც უყურადღებოთ იყვნენ მიტოვებული, განსაკუთრებით სეზონის უკანასკნელ დროში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი სეზონი ამ მხრივ უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება. ამის თავდებია კ. მარჯანიშვილის ჩადგომა ქართული თეატრის სათავეში. მიმდინარე ზაფხულმა უშედეგოთ არ უნდა ჩაიაროს ჩვენი მსახიობებისათვის.

ეხლავე დაწყებული თადარიგი და მუშაობა უეჭველად შედეგს გამოიღებს მომავალ სეზონში.

შ. სპ—ლი.

— **მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია.** მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენის დათვალიერება მოწაფეებს შეუძლიათ ჯგუფებათ დაკლებულ ფასებში (20.000 მ.) დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სცენაზე ჰონქაძის „სურამის ციხე“ მსახიობ გვარაძის საბენეფისოდ.

პროვინციაში

სოფ. წილკანი (დუშეთის მაზრა)

წილკანი დიდი სოფელია და მდიდარი, მოსავალით, დაშორებულია ქ. დუშეთიდან დაახლოვებით 15 ვერსით. გასულ წელს ამ სოფელში გავრცელებული იყო ხოლერა. ბევრი შრომა და ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, როგორც მთავრობას ისე ადგილობრივ მცხოვრებლებს მის აღმოსაფხვრელად. ხოლერით დაავათმყოფებული იყო მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი.

თუმცა სოფელი წილკანი მეტად მდიდარია მოსავლით, მაგრამ მასთან ერთად ძალიან ჩამორჩენილია კულტურის მხრით. თუმცა აქ უკვე ცხრა წელიწადია სკოლა არსებობს, არის ორი მასწავლებელი, მაგრამ მიუხედავათ ამისა სკოლას არ აქვს უბრალო სამკითხველოც კი. ეს გარემოება სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი მასწავლებლები ნაკლებათ არიან დაინტერესებულნი შეიტანონ გლეხობაში რაიმე განათლება. ისინი მარტო იმით კმაყოფილდებიან, რომ გლეხის შვილებს ასწავლონ ანბანი და მეტი არაფერი.

სოფელი რამდენიმე წელიწადია იტანჯება წყლის ნაკლებობით; განზრახული იყო წყლის გამოყვანა მდინარე არაგვიდან სარწყავი არხით, რაც შესრულებული იქნა მთავრობის დახმარებით, მაგრამ ამით სოფელს ძალიან ცოტა შეღავათი მიეცა. გამოყვანილი არხით რამდენიმე სოფელი სარგებლობს მაგ. ნატახტარი მისაქციელი და სხვა. წილკანს აღარ უწევს საყოფი წყალი. კარგი იქნებოდა რომ მეტი ყურადღება მიექციათ არხისათვის როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ისე ადმინისტრაციას, რომ არხი ყოფილიყო უფრო გადიდებული. შარშან ხოლერის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს სოფლის უწყლობა რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები სარგებლენ გუბეებიდან ამოღებული წყლით და რა გასაკვირველია, რომ გუბების მსმელ გლეხობას დამართებოდა ხოლერა.

ორი წელიწადია რაც აქაურ გლეხობას წყაროს წყლის გამოყვანა აქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ დღემდის ეს საქმე ვერ მოუგვარებიათ, რადგან ამ საქმეს არ მოეპოვება გულშემატკივარი მეთაური. მეტად საჭიროა ამ საკითხის მოგვარება, რომ ეს ბუნებით შემკული სოფელი გაჭირვებიდან გამოყვანილ იქნას.

ა. ბ.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი წერილი:

გაზეთ „ტრიბუნის“ ექვსი ივლისის ნომერში მოთავსებულია დეკანოზ ივანე ჩიჯავაძის წერილი, სადაც ის უარს ამბობს თავის წერილზე, რომელიც მოთავსებული იყო „რაბოჩაია პრავდას“ № 69 სათაურით „დამპალ საფუძველზე“.

„რაბოჩაია პრავდას“ რედაქცია აცხადებს მკითხველების საყურადღებოთ, რომ **ალნიშნული წერილი დაწერილია თვით დეკანოზ ივანე ჩიჯავაძის მიერ, რის შესახებ რედაქცია სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს.**

„რაბოჩაია პრავდას“ რედაქციის მიერ მიღებული ცნობებით დეკანოზი ჩიჯავაძე უარს ამბობს თავის წერილზე სამღვდელოების რეაქციონური ჯგუფის მხრივ სიკვდილის მუქარის შიშით.

„რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებაში ჩაწერილ ყველა უმუშევრებს გამოცხადდენ ხელახლა რეგისტრაციაზე ასალებად 3 დღის განმავლობაში.

ვინც არ გამოცხადდება მოხსნილი იქნება ანგარიშიდან.

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.
საალრ.-სასტატის. განყ. გამგე ვულფოვიჩი.

პროფესიონალური.

— შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე—ხრისტოლიუბოვის მოხსენება: „მასწავლებელთა მომზადება და ხელმეორე მომზადება“.

განცხადებები

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სალიკვიდაციო კომისია

აცხადებს, რომ სააუქციონო ვაჭრობიდან **სხვა და სხვა გვარი ოქროს და ვერცხლის** ნივთების და აგრეთვე საოჯახო ნივთების, ნახმარი ტანსაცმელების და საცვლების გაყიდვა გაგრძელდება **კვირას**, 10 ივნისს, დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე, კომისარიატის ეზოში.

იმ შემთხვევაში, თუ ნივთების გაყიდვა არ დამთავრდა 10 ივნისს, აუქციონი დაინიშნება შემდეგ კვირას, 17 ივნისს, იმავე საათებში.

(კრ. 443 2—2)

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

ი. ფ. პალატნიკოვის

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—15) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი

დავკარგე ნორიის აღმართზე მდებარე სახლის წიგნაკი მარიამ პაპალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე სახლის წიგნი მუშკოპის განყოფილებისა № 1922 წ. კიროჩნი ქ. № 7. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე უვადო პასპორტი დუბლიკატით, არტემ ფილიპოიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე მე-10 კომისარიატის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ბარათი, პროკოფი კალანდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე სამხედრო კომისარიატის მიერ, მოცემული სარეგისტრაციო ბარათი ალექსანდრე სოლოგოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე დროებითი პასპორტი აბდურახმან საგინოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე ქუთაისის გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიიდან მიღებული ატესტატი, შუშანიკა მინდელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე პასპორტი, გაცემული ტფილისის მილიციიდან 1921 წ. დავით მირონის ძე კარლინეკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე დროებითი პასპორტი, ომარ სალიდოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე საწევრო წიგნაკი სახალხო კომისარიატის კავშირისა № 11—75 ალექსანდრე ილიას ძე გამრეკელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად, 1—1

დავკარგე პასპორტი, გაცემული კიევის ქალაქის მილიციის მიერ 1923 წ. თარიღით № 1321, და საალრიცხვო ბილეთი, გაცემული ქ. კიევის სამხედრო კომისარის მიერ იმავე 1923 წელს ნიკოლოზ ბოკერიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიული განყოფ.

გადავიდა

რუსთაველის პროსპექტზე № 27.

ყოფილი ევროპიული ნომრები, სახელმწიფო ოპერის გვერდით.
3—2

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს სავაჭრო საწარმოოს მეპატრონეთა და ყველა იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან პირად სარეწი საქმიანობის აღწერილობაში და ვალდებულნი არიან გადაიხადონ სარეწავი გადასახადი (მათ შორის სარეწი საქმიანობის მიზნით თავისუფალ პროფესიის მიმდევართა პირნიც—ექიმები, ბებიები, მასაჟისტკები, კბილის ექიმები და ტეხნიკოსები, ბეითლები, არქიტექტორები, ინჟინერები, დამცველთა კოლეგიის წევრნი, მსახიობნი—მემუსიკეები, ბირჟის მაკლერები, ინსპექტორები და აგენტები კერძო საკრედიტო და დამზღვევ საზოგადოებათა და მოსიარულე ნოქრები), აგრეთვე კომერციულ ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა წარმოებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა, ტრესტების, სინდიკატთა, საკრედიტო დაწესებულებათა სააქციო და შერეულ საზოგადოებათა, კოოპერატივთა და კოოპერატიულ გაერთიანებათა და სხვა საყურადღებოდაც, რომ თანახმად ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის განკარგულებისა, რომელიც დამყარებულია მიმდინარე წლის 5 აპრილს ამიერ კავკასიის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დეკრეტზე სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ, ზემოდ დასახელებულ საწარმოოთა შესანახად უფლების ქონებისათვის და აგრეთვე პირად სარეწი საქმიანობის წარმოებისათვის შემდეგ საგადასახადო პერიოდში მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდი, **ისინი ვალდებულნი არიან აილონ ამა წლის 1 ივლისამდე რესპუბლიკის ხაზინებიდან (ხოლო თბილისში აგრეთვე სახალხო ბანკის და რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის კასებიდან) სარეწავი** მოწმობები სამი თვის ვადით. სარეწავი მოწმობის აღების დროს დაცული იქნება დროებითი წესების 2 და 25 მუხ. მუხ. და ამ მოწმობის მიღებისათვის უნდა იქნეს გადახდილი ნახევარი იმ თანხისა, რომელიც აღრიცხულია ექვსი თვის ვადით ალებულ სარეწავი მოწმობებისათვის. აგრეთვე ნახევარ ზომად უნდა იქნეს გადახდილი ყველა კანონში გათვალისწინებული დამატებითი გადასახადები ფუფუნებისათვის და ადგილობრივ [illegible]

თუ ფინსახკომის კასებში არ იქნება სარეწავი მოწმობების ბლანკები, გადამხდელნი ბლანკების მაგიერ მიიღებენ კვიტანციებს, რომლებშიაც მოკლედ იქნება დასახელებული ყველა ცნობები ნაჩვენები გადამხდელთა მიერ თავიანთ განცხადებებში. სარეწავი მოწმობების და ან კვიტანციების მიცემის დროს, გადამხდელთ ეძლევათ ფინსახკომის კასებიდან აგრეთვე განცხადების ბლანკები თავიანთ ბრუნვამოგების ალსანიშნავად და რაიონულ სახარკო კომისიებში წარსადგენად.

სარეწავი მოწმობის უქონლად და ნაკლებ ფასიანი სარეწავი მოწმობით ვაჭრობის წარმოებისათვის, გარდა სათანადო მოწმობის ალებისა, ბრალდებული დაჯარიმებული იქნება არა უმეტეს ხუთი ზომა რაოდენობისა სრულიად ანუ ნაწილობრივ გადაუხდელ თანხისა.

მეპატრონენი, რომლებიც თავიანთ საწარმოოში დაუშვებენ მოვალეობის შესასრულებლად სათანადო მოწმობის უქონლად იმ პირთ, რომლებიც ვალდებულნი არიან აილონ ასეთი მოწმობები პირადი სარეწი საქმიანობისათვის, დაჯარიმდებიან არა უმეტეს ორი ზომა მოწმობის ღირებულების თანხისა.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის
რწმუნებული საქართველოში: **ბ. ბიბინეიშვილი.**
გადასახადთა განყოფილების მართველის
449 1—1 მოადგილე: **ა. ბეზირგანიშვილი.**

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის.

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—12)

ს. მ. შ. ს.

თამბაქოს ტრესტის პრეისკურანტი № 20.

1923 წლის 5 ივნისი.

პაპიროსების სახელწოდება პაპიროსები	ფასი (ჩერვონცებში) (კოლოფებში)
„ანგლიისკიე“ — — — — —	1,0
„სოვეტსკიე“ 1-ლი ქარხნის	0,9
„სოლიდნიე“	
„სოვეტსკიე“ მე-2 „	
„ხან-კეფი“	0,7
„ეგიპეტსკიე“	
„დელიკატეს“	
„სოვეტსკიე“ მე-3 და მე-4 ქარხ.	
„ირის“	
№ 105 — — — — — —	0,66

პაპიროსების სახელწოდება პაპიროსები	ფასი (ჩერვონცებში) (პაჩკებში)
„ეგიპეტსკიე“	0,66
„დელიკატეს“	
„ბუკეტ“	
„ექსტრა“	0,45
„დარიალ“	
„როსკოშ“	
„მარს“ მე-2 ქარხნის — — —	0,38
„ზვეზდა“	0,35
„ზარია“	
„მარს“ მე-4 ქარხნის	
№ 5 მე-3 „	

თამბაქოები

უმაღლესი ხარისხის „სლონ“ — — — —	0,22	ჩერვონეცი
№ 52 საფაროვის, „კეფ“ და ყირიმის „კომეტა“, გადარჩეული „მირ“ — —	0,21	„
„სამსონ“—ბოზარჯიანცის — — — — —	0,18	„
№ 52—სეილანოვის, № 120—ენფიანჯიანცის, № 108—საფაროვის „შირაკ“, „კომეტა“ და „საერო“—ბოზარჯიანცის — — — —	0,15	„
„ნაროდნია“—სეილანოვის, საფაროვის და „კომეტა“, „საგანგებო“—ბოზარჯიანცის, „სამსუნ“, „მირ“ და „შირაკ“—ენფიანჯიანცის — — —	0,12	„
ასანთი—1,000 კოლოფი — — — — —	1,5	„
გილზები 40 კოლოფი — — — — —	1,15	„

შენიშვნა: 1. არა ნაკლებ 150 ათასი პაპიროსის და 150 გირვანქა ყველა ხარისხის თამბაქოების დაკვეთის დროს დაწესებულია დაკლება 1 პროცენტისა.
2. თითეული ათასი ცალი პაპიროსის დაკვეთის დროს სავალდებულოა ერთი გირვანქა მეორე ან მესამე ხარისხის თამბაქოს წაღება.

ტრესტის ნაწარმოებზე ფასები დაკლებულია 20 პროცენტამდი.

კრ. 442 2—2

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 6.000

გაზ. „ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.